ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ბაგებში სროლის და გარჩევის საქმეზე მერაბ ხიდაშელი დააკავეს

გვ.5

დაჭრილი 2 ადამიანი ხეჩინაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს

პარასკევი, 5 ივნისი, 2020 №122 (8386) ფასი: 60 თეთრი

„ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება არჩევნები მოიგოს, მაგრამ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციაში არათუ მაჟორიტარებზე შეთანხმება, შეიძლება ახალი საარჩევნო ბლოკის შექმნაც კი პრობლემატური იყოს“

„ივანიშვილი გახარიას 1 საათით ადრე ეტყვის, რომ გადაყენებულია“



გვ.3

გურამ ჩალაგაშვილი: „რა ქნას ვაშაძემ, სიყვარულით შექმნა ოჯახი და ბიძად დახვდა ვანო ჩხარტიშვილი“

„ივანიშვილი გახარიას წინასაარჩევნოდ არ გაათავისუფლებს“

ნიკა ჩიტაძე: „ხუხაშვილი ფულს ჯერ პატარკაციშვილისგან იღებდა, მერე ივანიშვილისგან“

გვ.2

გვ.2

ნიკა მელია: „ნაციონალური მოძრაობა თბილისის 8 ოლქიდან 6-ს თმობს“

გვ.4

დავით ლორთქიფანიძე: „სტრასბურში განხილული საქმეების უმრავლესობა სააკაშვილის დროსაა გაგზავნილი“

სექსუალურ ძალადობაზე კანონი გამკაცრდა

შსს-მ სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შეასრულა

გვ.5

ISSN 1987-9385

4 ასლან ბჟანია: „აფხაზეთში არავითარი „მაჟურებლები“ არ უნდა იყვნენ“

5 არჩილ თალაკვაძის ბიძაშვილი და ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა დააკავეს

5 წერეთელზე მანქანა მოვაედს დაეჯახა, რომელსაც არასრულწლოვანი მართავდა

6 ფაშინიანი: „ცუდი ამბავი გვაქვს, 697 ახალი შემთხვევა დადასტურდა“

„ივანიშვილი გახარიას წინასაარჩევნოდ არ გაათავისუფლებს“

ნიკა ჩიტაძე: „ხუხაშვილი ფულს ჯერ პატარკაციშვილისგან იღებდა, მერე ივანიშვილისგან“

იაგო ნაცვლიშვილი

გადადგება თუ არა პრემიერის პოსტიდან გიორგი გახარია? წინა მმართველობა უფრო არადემოკრატიული იყო თუ ეს მმართველობა და რატომ უწუნებს პოლიტიკას მთავარ არხს? — ამ და სხვა საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– პრემიერის მეთაურობით 4 ივნისს მთავრობის სხდომა გაიმართა, ეს მაშინ, როცა წინა დღეებში მისი გადადგომის შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია. ამის მიუხედავად, მაინც ხომ არ უნდა ველოდოთ მის გადაყენებას და ხომ არ გველოდება არჩევნები გახარიას პრემიერობის გარეშე?

– ჩემი აზრით, არა. ყველა ვარიანტი შესაძლებელია და ისიც შესაძლებელია, რომ ივანიშვილმა გადააყენოს გახარია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ გახარიასა და ივანიშვილს შორის მწვავე საუბარი შედგა და გახარია არ თანხმდებოდა პრემიერის პოსტის დათმობას. თუმცა, გახარიას წასვლა შეიძლება მოუხდეს იმის გამო, თუ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება. ათასობით ადამიანმა დაკარგა სამსახური და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკის 5.5%-ით შემცირებაა მოსალოდნელი და შესაძლოა ფიქრობენ, რომ განტევების ვაცის როლი გახარიამ უნდა ითამაშოს. შესაძლოა, ამით ივანიშვილს უნდოდეს თავის დაზღვევა, რომ ეს მისი ბრალი არ არის და გახარიას ბრალია.

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ის არ გადადგება. იმიტომ, რომ ეს იქნება ხელისუფლებისთვის წამგებიანი პოზიცია.

– ანუ, არჩევნებს ჩაატარებინებენ და მერე გაუშვებენ?

– კი, ეს შესაძლებელია. იმიტომ, რომ ხელისუფლება ამაყობს კორონავირუსის დროს მიღწეული შედეგებით, რომ ჩვენ გვყავს ნაკლები მსხვერპლი. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით. აშშ-ში, მაგალითად, 100.000 ადამიანია გარდაცვლილი.

– თუ ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდება, ეს შედეგი უშველის გახარიას?

– თუ გაღრმავდა, მაშინ შესაძლებელია, მაგიტომ ვამბობ, რომ შესაძლოა გაუშვან გახარია, მაგრამ ეკონომიკური კრიზისი მსოფლიოშია მოსალოდნელი.

– გახარიას გაშვებით ივანიშვილი 2 კურდღლის დაჭერას ხომ არ ეცდება? გარდა ეკონომიკური კრიზისისა, მოსახლეობის დიდ ნაწილში გახარიას ისევ აქვს ჯალათის სახელი, რომელმაც ახალგაზრდებს თვალები დასთხარა. ამის ჩამორეცხვას ხომ არ ეცდება ივანიშვილი წინასაარჩევნოდ?

– ამ შემთხვევაში ის არ დანიშნავდა გახარიას. გახარიას დაწინაურება ხომ მოხდა პრემიერ-მინისტრად დანიშვნით?! ორივე ვერსია შეიძლება იყოს, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ უფრო დიდი ალბათობით გახარია არ დატოვებს პოსტს. ეს ხელისუფლება ამაყობს იმით, რომ წარმატებით გაუმკლავდა კორონავირუსს. თუ გაუშვეს, ეს ნიშნავს, რომ საქართველო ვერ გაუმკლავდა კორონავირუსს, არსებობს რაღაც პრობლემები და ამას აღიარებს ხელისუფლება.

მართალია, მისი გაშვების თაობაზე „მთავარმა არხმა“ გაავრცელა ინფორმაცია, მაგრამ მეორეა ის, რამდენად შეესაბამება ეს რეალობას.

– მაგრამ „მთავარი არხი“ ხომ არ მოიგონებდა?

– „მთავარ არხს“ რაც შეეხება, მასთან რაღაც კითხვები მაქვს. მაგალითად, მას ჰყავს ის ადამიანები, ვინც თავის დროზე „ოცნებას“ აქებდნენ და ადიდებდნენ და დღეს აკრიტიკებენ. მხედველობაში მაქვს მათი მთავარი სტუმრები.

– პოლიტიკა ამას მოითხოვს, მედიის საქმიანობაც ასეთია, რომ, გვინდა თუ არა, გვიწევს ყველას პოზიციის მოსმენა...

– მედიაც სხვადასხვანაირია, ისევე, როგორც პოლიტოლოგები, ეკონომისტები და ა. შ. ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავთ. მე პირადად „მთავარ არხთან“ ბევრი კითხვა მაქვს.

– რა კითხვები?

– მაგალითად, თითქოს ევროატლანტიკური ღირებულებებისთვის იბრძვის და მთავარი სტუმრები ჰყავს იგივე ეკა ბესელია, გია ხუხაშვილი, რომლებიც თავის დროზე „ოცნებას“ აქებდნენ და ადიდებდნენ. კითხვა მაქვს, რანაირი ექსპერტია, რომელიც აქებდა „ოცნებას“ და იძახდა, რომ პროგრესს მოიტანსო და დღეს აკრიტიკებს. ანუ, პროგნოზი ვერ გააკეთა, ან ბურჯანაძე რომ ჰყავდათ საპატიო სტუმრად. მაგალითად, დავით ზურაბიშვილი „კავკასიის“ ეთერში ჩემ გვერდით იჯდა და იძახდა, საქართველომ დაიწყო ომიო.

– დავით ზურაბიშვილი ამტკიცებდა ამას?

– კი, ამტკიცებდა, შეგიძლიათ ჰკითხოთ, როდესაც ინტერვიუ გექნებათ. ეს ხდებოდა 2010 წელს, მაშინ ეროსი კიწმარიშვილი და მამუკა არეშიძეც იყვნენ სტუმრებად ეთერში.

– ასეთი სტუმრები ეთერში ტელევიზიამ არ უნდა მიიწვიოს?

– ერთხელ შეიძლება მიიწვიო, მაგრამ... ეს მაგათი გადასაწყვეტია.

– თქვენი გადმოსახედიდან გეკითხებით.

– თუ შენ ევროატლანტიკური მიმართულების ხარ, ეს არ უნდა გააკეთო.

– დასავლური მიმართულება პლურალიზმს ქადაგებს.

– კი, მაგრამ, ვისაც კომპეტენცია გააჩნია და გულწრფელად ლაპარაკობს და არა ისეთები, ვინც ფულს იღებდნენ ივანიშვილისგან და „ოცნება“ კარგი იყო, როცა არ იღებენ, ახლა გახდა „ოცნება“ ცუდი. ერთხელ მელორო ვაჩნაძე მოიწვია იმის გამო, რომ ბიძინა გააკრიტიკა. მე პირადად ასე მიმაჩნია.

თუ მიგაჩნია, რომ ხუხაშვილი დიდი ექსპერტია, როგორ შეიძლება შეცდომა დაუშვას და ვერ გათვალოს რაღაცები.

– ხუხაშვილთან ინტერვიუს მეც ხშირად ვწერ ხოლმე...

– ეს თქვენი არჩევანია. თქვენს ადგილას, მეც სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანთან მექნებოდა ინტერვიუ.

მე მეტი მორალური უფლება მაქვს, ვილაპარაკო დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებსა და ღირებულებებზე. მე ვაკრიტიკებდი „ოცნებას“ და ვიძახდი, რომ ხელისუფლებაში მისი მოსვლა ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებაზე. ჩემი პროგნოზი მართალი გამოდგა, როცა ვიძახდი, რომ ტყუილი იყო, რომ ბენზინი ლარით შემცირდებოდა და კომუნალურები განახევრდებოდა.

„დავით ზურაბიშვილი ამბობდა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო“

– ეს გუბაზ სანიკიძემაც აღიარა, ბევრი ტყუილი მეც მალაპარაკესო, მაგრამ რახან ახსენეთ ადამიანის უფლებები, გკითხავთ, თქვენ მოგწონდათ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ბოლო წლები, როდესაც ადამიანის უფლებები მკვეთრად ირღვეოდა, მიდიოდა უამრავი საქმე სტრასბურში და ა. შ. მოგწონდათ ეს ვითარება?

– ამ კითხვაზე აუცილებლად გიპასუხებთ, მაგრამ იქამდე ვიტყვი, რომ მე როცა პროგნოზს ვაკეთებდი, ფულს არ ვიღებდი. როგორც თქვენთან მაქვს კოლეგიალური ურთიერთობა, ისე მქონდა მანამდეც ჟურნალისტებთან. ხუხაშვილი კი ჯერ ფულს პატარკაციშვილისგან იღებდა, მერე ივანიშვილისგან. ანუ გულწრფელი არ იყო.

– პატარკაციშვილისგან არ ვიცი, მაგრამ ხუხაშვილი მუშაობდა ბიძინა ივანიშვილის მრჩევლად და, ბუნებრივია, ხელფასს აიღებდა...

– რაღაც ინსტიტუტი ჰქონდა და იმას უფინანსებდა ივანიშვილი. ხუხაშვილი იძახდა, რასაც ჩასძახებენ, იმას ამოსძახებსო და კვალიფიკაცია არ გააჩნიათო. ალბათ მეც მგულისხმობდა. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა მიმიწვია. ადამიანები ეწეოდნენ ბიძინას აგიტაციას. აქ ან ზნეობასთან გვაქვს საქმე ანუ რახან ფულს იღებდი, სხვანაირად ლაპარაკობდი, ან არაპროფესიონალიზმთან – ვერ გათვალე რაღაცები და იძახდი, რომ ლარი სააკაშვილის ჯიბეში მიდის. ვინც გაიძახოდნენ, ომი საქართველომ დაიწყოო, ისინი დღეს პირველები გამოდიან ბიძინას კრიტიკით. მათი აზრების გავრცელებას „მთავარი არხი“ უწყობს ხელს, დემოკრატიაზე, ნატოსა და ევროკავშირზე საუბრობენ.

ყველას ექსპერტად რომ მოიხსენიებენ, ბოდიში, მაგრამ მე 6 წიგნის ავტორი ვარ და წლის ბოლოს კიდევ ჩემი 2 წიგნი გამოვა. 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი ვარ და ა. შ. ჩემზე უკეთესებიც არიან, რომლებიც არ ჩანან და ისინი მეტს იმსახურებენ.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდე, სამწუხაროდ, ადამიანის უფლებების დარღვევებს ჰქონდა ადგილი წინა მმართველობის დროსაც. თუმცა, ძალიან ბევრი კარგი რეფორმა გატარდა. ბოლო წლებს რაც შეეხება, არ მომწონდა ბევრი რამე. იგივე „იმედში“ შევარდნა და ა. შ., მაგრამ არავინ დაუპატიმრებიათ და თვალები არავისთვის დაუთხრიათ.

– მაგრამ, როგორ დაყარეს ჟურნალისტები ძირს, როგორ გაანადგურეს ტექნიკა, როგორ განვითარდა მოვლენები, როგორ ერთ ხმაზე ალაპარაკდა ყველა ტელევიზია... როცა პლურალიზმზე ვსაუბრობთ, ამ მიმართულებით მიჩნდება კითხვები.

– მოდი, 7 ნოემბერი შევადაროთ 20 ივნისს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამის გამო 1 წლით შეიმცირა ვადა და ვადამდელი არჩევნები დანიშნა. 20 ივნისს რა მოხდა? ადამიანებს თვალები დასთხარეს და ოქრუაშვილს არაფრის გამო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში დასდეს ბრალი და ციხეში ჩასვეს. გახარია კი ამ ძალადობის გამო დააწინაურეს.

26 მაისსაც არაკონსტიტუციური იყო ის აქცია, მოუწოდეს ბურჯანაძეს, სხვაგან ჩაეტარებინა აქცია, მაგრამ ეს იყო რუსული სპეცსამსახურების გეგმა. აბსოლუტურად ტყუილი იყო, რომ ნაციონალებმა ადამიანები მოკლეს, რაც არ დასტურდება. ბურჯანაძის მძღოლმა მოკლა პოლიციელი. იმ ბურჯანაძეზე ვსაუბრობთ, რომელსაც დღეს „მთავარ არხზე“ ეპატიჟებიან, იმედია, მალე „ვანოს შოუშიც“ მიიწვევენ.

გირგვლიანის შემთხვევა ერთეული გადაცდომა იყო და არა – სისტემური, რის გამოც 3 წელი ადამიანები ისხდნენ ციხეში. მაჩალიკაშვილის მკვლელობისას კი პროკურატურამ ძიება შეწყვიტა.

– ანუ „ოცნების“ მმართველობა უფრო სასტიკია ადამიანის უფლებების მხრივაც, ვიდრე ნაცმოძრაობის?

– უფრო არადემოკრატიულია. სასტიკი იყო კომუნისტური მმართველობა. დღეს არსებობს სიტყვის თავისუფლება. სისტემურ დანაშაულს რაც შეეხება, გახსოვთ, ნაცმოძრაობის რამდენი ოფისი დაარბიეს „ოცნების“ მმართველობისას, რაც არც კი გამოიძიეს, აი, ეს არის სისტემური დანაშაული და მგონია, რომ „ოცნება“ უფრო არადემოკრატიულია. ვხედავთ იმასაც, რომ კორუფციის დონე გაიზარდა. ნაცმოძრაობის დროს ბევრი შეცდომა იყო და ბევრი კითხვა მაქვს მასთან, მაგრამ შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე „ოცნების“ მმართველობა.

თქვენს მთავარ კითხვას რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ დიდი ალბათობით გახარია არ გადადგება. მისი გადადგომა შეცდომების აღიარება იქნება. თუ გახარია გადადგება, უნდა ვაღიარო, რომ ვცდებოდი.

– თუ გადადგება, აუცილებლად გაგახსენებთ.

– კარგი, თანახმა ვარ, ვისაუბროთ მერე ამაზეც.

ნიკა მელია: „ნაციონალური მოძრაობა თბილისის 8 ოლქიდან 6-ს თმობს“

„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია, თმობს თბილისის 8 მაჟორიტარული ოლქიდან 6 ოლქს.

ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა მელიამ 4 ივნისს ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, 5 ივნისიდან პარტია წინასაარჩევნო კამპანიას თბილისის მხოლოდ ორ რაიონში – გლდანსა და სამგორში – დაიწყებს. მისივე განცხადებით, ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებები, რომ შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციური გაერთიანების შეთანხმების დარღვევას აპირებდეს, უსაფუძვლოა.

– უკანასკნელი დღეების განმავლობაში თვალყურს ვადევნებთ პერიპეტიებს მაჟორიტარულ ოლქებთან დაკავშირებით. ეს ვნებათაღელვა მატულობს და მატულობს, ხშირ შემთხვევაში უადგილოდ. მიზანში ამოღებულია „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია იმდენად, რამდენადაც, სამწუხაროდ, რამდენიმე სუბიექტმა ჩათვალა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ხელისშემშლელი ფაქტორი შეთანხმების მისაღწევად მაჟორიტარულ ოლქებზე და განსაკუთრებით, თბილისში.

ამის საფუძველი არ არსებობდა პირველივე დღიდან. მე, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, ყველა შეხვედრაზე წარმოვადგენდი და წარმოვადგენ პარტიის ინტერესებს. „ნაციონალური მოძრაობა“ ერთგული რჩებოდა და რჩება ერთობის მიმართ. „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია, რომელმაც გასულ არჩევნებზე თბილისში, მილიონ-ნახევრიან ქალაქში 200.000 ხმა მიიღო, რაც ყველა ოპოზიციური პარტიის მიერ მიღებულ ხმებზე მეტია, თმობს თბილისის 8 მაჟორიტარული ოლქიდან 6 ოლქს.

ამით ჩვენ ვდემონსტრირებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ გამოდის ვიწროპარტიული ინტერესიდან და არ იბრძვის საკუთარი პარტიული რეზულტატის გაუმჯობესებისთვის. ჩვენ ვიბრძვით ამ ქვეყნის გამარჯვებისთვის და ხვალინდელი დღიდან „ნაციონალური მოძრაობა“ საარჩევნო კამპანიას იწყებს თბილისის მხოლოდ ორ რაიონში – სამგორისა და გლდანის რაიონებში.

„ნაციონალური მოძრაობა“ იწყებს ბრძოლას გამარჯვებისთვის და გზას უხსნის ყველა მომსვლელ ოპოზიციურ პარტიას, რომ მოხდეს სრული შეთანხმება და წარმოდგენილები ვიყოთ ყველა ოლქში ძლიერი კანდიდატებით და ყველა სხვადასხვაგვარი ოპოზიციური განწყობის მქონდე ამომრჩეველი იქნეს დაკმაყოფილებული არჩევნების დღეს.

ვფიქრობ, ამით ბევრი რამაა ნათქვამი. ამას ბევრი არ მოელოდა, მაგრამ ძალიან საწყენი იყო, რომ არ მოელოდა, – განაცხადა ნიკა მელიამ.

მარიამ ჯაში: „ნოემბერში პროპორციული არჩევნების გადმოწევა ჩააგდო „ქართულმა ოცნებამ“

– არჩილ, სიმართლეს უნდა შევხედოთ თვალებში. ნოემბერში პროპორციული არჩევნების გადმოწევა ჩააგდო „ქართულმა ოცნებამ“. თუ კიდევ ერთხელ ჩავარდება ეს ინიციატივა, იქნება არა მხოლოდ „ევროპული საქართველოს“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალი, არამედ „ქართული ოცნების“ ბრალი, – ასე მიმართა ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს საარჩევნო სისტემის ცვლილების თაობაზე კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვისას.

მარიამ ჯაშის თქმით, თუ ინიციატივა კიდევ ჩავარდება, „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობისგან გაქცევა შეუძლებელი იქნება“.

„ქართულ ოცნებას“ საკუთარი მანდატებით, დამოუკიდებელი დეპუტატების, ასევე, ჩვენი ფრაქციის, „პატრიოტების“ და „სოციალ-დემოკრატების“ მობილიზაციის შედეგად, შეუძლია 213 ხმის მობილიზაცია. თუ ჩავარდება, არ იქნება მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ ბრალი, აქ „ქართული ოცნების“ პასუხისმგებლობისგან გაქცევა შეუძლებელი იქნება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ 93 მანდატთან ერთად 20 ხმის მობილიზაცია შესაძლებელია. 12 ხმა პრაქტიკულად გარანტირებულია. საჯაროდ ვაცხადებთ ამ პირობას და დამატებით 8 დეპუტატი რჩება.

ჩვენ გვაქვს კონსულტაციები ჩვენს ყოფილ თანაგუნდელებთან და დარწმუნებული ვარ და შესაძლებელია ეს, თუკი თქვენ ნამდვილად გაქვთ ცვლილებების პოლიტიკური ნება, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი გახარიას 1 საათით ადრე ეტყვის, რომ გადაყენებულია“

გურამ ჩალაგაშვილი: „რა ქნას ვაშაძემ, სიყვარულით შექმნა ოჯახი და ბიძად დახვდა ვანო ჩხარტიშვილი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, ძალიან არასასიამოვნო საყურებელია, რაც გაერთიანებულ ოპოზიციაში ხდება. იგრძნობა დაპირისპირება. როგორია შიდა კულუარები, რას გვეტყვით თქვენ?

– დღევანდელი მდგომარეობით არანაირ დაპირისპირებას ადგილი არა აქვს. ყველაფერი მიდის ისე, როგორც ითქვა. ჩვენ თავიდანვე გვქონდა განცხადება გაკეთებული, რომ შევთანხმდებოდით საერთო კანდიდატზე. აქ პირველ რიგში საუბარი იყო დიდ ქალაქებზე. ასევე ძალიან კარგი იქნებოდა, თუ შევთანხმდებოდით რეგიონებზეც.

– ჩაიშალა ეს დაპირება და მოლაპარაკება?

– არა, არანაირი მოლაპარაკება ჩაშლილი არ არის.

– მაშინ რას ნიშნავს ეს ღია და საჯარო განცხადებები და დაპირისპირებები. თუნდაც გიორგი ვაშაძის თემაზე?

– ვაშაძის საკითხს ცოტა მოგვიანებით შევეხოთ. მე საუბარი მაქვს ზოგადად ოპოზიციაზე. ვმსჯელობთ იმაზე, რომ დიდ ქალაქებში და შემდეგ მაქსიმალურად ყველგან გავიდეთ ერთიანი კანდიდატებით.

– ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ პირველობას ვერ იყოფენო. ასეა?

– არა, ასე არ არის. რა თქმა უნდა, ლოგიკურია, რომ დიდ პარტიებს მეტი ამბიცია ექნებათ, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მეტი კვოტა და მეტი ადგილი მაჟორიტარებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა პარტიები დაიჩაგრონ. ამიტომაც თქვეს ერთმაც და მეორემაც, რომ უნდა შევარჩიოთ რეალური კანდიდატები. რომელ კანდიდატსაც რომელ რაიონში თუ რეგიონში მეტი უპირატესობა ექნება, სწორედ იქ უნდა იყაროს კენჭი. ერთმანეთს გვერდით უნდა დავუდგეთ და იქ სხვა პარტიამ აღარ უნდა დაასახელოს კანდიდატი.

– თქვენ თუ აპირებთ მაჟორიტარად კენჭისყრას?

– მაჟორიტარობის სურვილი არავის არა აქვს, არც მე ამ შემთხვევაში. ამ საკითხებზე ვსაუბრობთ და საბოლოო გადაწყვეტილებას ყველანი ერთად მივიღებთ. მე ვთვლი, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ ოპოზიციის იმ კანდიდატს, რომელსაც მეტი საშუალება და უნარი ექნება გამარჯვების.

– რას აპირებს ირაკლი ოქრუაშვილი? საუბარია, რომ სერიოზული შეხვედრები და მოლაპარაკებები იმართება.

– დიახ, დაგიდასტურებთ, რომ ჩვენ ვხვდებით ყველა პარტიას. ყოველდღიურ რეჟიმში გვაქვს შეხვედრები. ვხვდებით ყველას და გეტყვით თამამად, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არის ერთ-ერთი ინიციატორი და მოსურნე, რომ ეს ერთობა იქნეს შენარჩუნებული და რაც შეიძლება მეტ ოლქზე შევთანხმდეთ. სწორედ ამის გამო ვხვდებით ძალიან ბევრ ადამიანს, ბევრ პარტიას, რომ მაინც შევთანხმდეთ მთელი ოპოზიცია.

– შეთანხმდებით კი? საზოგადოებას სერიოზულად ეპარება ეჭვი ამაში. ისევ ოპოზიციური პარტიების განცხადებებიდან გამომდინარე.

– არ ვიცი, ვინმე თუ მოინდომებს ამის არევას. დღეს სიტუაცია ასეთია, რომ წესით, ივნისის ბოლომდე უნდა შევძლოთ, რომ თბილისსა და დიდ ქალაქებზე 99% შეთანხმება მიღწეული გვქონდეს.

– არიან ისეთები, ვისაც არევა სურთო. აქვთ ფინანსური ინტერესი და ასე შემდეგ.

– არ ვიცი, ეს ჯერ არ გამოკვეთილა, რომ ვინმეს ჩაშლა ჰქონდეს განსაზღვრული. ჩვენი მთავარი მიზანი ამ არჩევნებზე მიღწეულ უნდა იქნას და ჩვენი მიზანია, რომ როგორმე ეს ხელისუფლება მოვიშოროთ. ამისთვის კი ერთიანობაა საჭირო.

– რას იტყვით ვაშაძის ირგვლივ ატეხილ ამბავზე?

– გიორგის ირგვლივ ატეხილი ამბავი საკმაოდ არასასიამოვნო საყურებელი და მოსასმენია. ჩემთვის განსაკუთრებით, რადგან მე და გიორგი წლებია, მეგობრები ვართ. პოლიტიკაში მოსვლამდე ვმეგობრობდით.

– რა ქნას ვაშაძემ, თუკი მისი ცოლის ბიძა ვანო ჩხარტიშვილია?

– როდესაც „ოცნების“ ხელისუფლება გვეუბნება, რომ დედა არ არის ნათესავი, მოსამართლეს აძლევს დავალებას, რომ ასე თქვას. არც ცოლის დედაა ნათესავიო. ვაშაძის შემთხვევაში ცოლის ბიძაზეა საუბარი. რა ქნას ამ ადამიანმა? სიყვარულით შექმნა ოჯახი და ბიძად დახვდა ვანო ჩხარტიშვილი. ამის გამო ვერც სიყვარულზე იტყოდა უარს და ვერც ნათესაობაზე.

იმ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრება, ამას კი – თავისი. ვანო ჩხარტიშვილი ყოველთვის იყო ვანო ჩხარტიშვილი. 2003-ამდეც, 2012-ამდეც და 2012-ის მერეც. როგორც მე მახსოვს, ჩხარტიშვილს 2012-ამდე საქართველოში ჩამოსვლის პრობლემა ჰქონდა, ვერ ჩამოდიოდა, გიორგი ვაშაძე კი მაშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილე იყო. მერე პარლამენტის წევრი გახდა. შემდეგ კი ოპოზიციაშია და აგრძელებს თავის საქმიანობას. ორივეს თავისი გზა და თავისი მიმართულება აქვთ.

ჩემი ცოლის ბიძა რომ რომელიმე ოლიგარქი იყოს, ამის გამო მე ვერც ოჯახს დავანგრევდი და ვერც იმ ადამიანს ვეტყოდი, არ უნდა იყო ჩემი ცოლის ბიძა-მეთქი. ეს არის თითიდან გამოწოვილი ამბავი. როდესაც ვიღაცა ხედავს მასზე ძლიერს, მასზე გონიერ ადამიანს, უნდა, რომ ჩირქი მოსცხოს. დაახლოებით ამ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ცდილობენ, ვაშაძეს ჩირქი მოსცხონ იმის გამო, რომ მისი მეუღლის ბიძაა ვანო ჩხარტიშვილი.

– იწყება საკონსტიტუციო განხილვები, საპარლამენტო ოპოზიცია კი მასში მონაწილეობს არ მიიღებს. ეს რამდენად დააზარალებს პროცესს?

– უკვე მთელი მსოფლიო იმაზე ლაპარაკობს, რომ 8 მარტს საქართველოში ისტორიული შეთანხმება გაფორმდა, რომელიც უნდა იქნას შესრულებული. ამ შეთანხმების მთავარი ნაწილი იყო ამ სამი პირის გამოშვება. სამიდან ორი, ოქრუაშვილი და უგულავა გამოუშვეს. რურუა კი პატიმრობაში რჩება. თუ 8 მარტის შეთანხმება იქნება შესრულებული, თუ ხელისუფლება არ ჩაერევა სასამართლო ინსტიტუციაში და მოსამართლეს მისცემენ ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანის უფლებას, დარწმუნებული ვარ 100%-ით, რომ პატიმრობას, მინიმუმ, გირაოთი შეუცვლის. მხოლოდ და მხოლოდ ეს ნაბიჯია გადასადგმელი ხელისუფლების მხრიდან, რომ 8 მარტის შეთანხმება შესრულდეს და, შესაბამისად, ცვლილებები შევიდეს კონსტიტუციაში.

რას აპირებს ხელისუფლება, ამას ვერ გეტყვით. ხელისუფლება დღეს აცხადებს, რომ გაუმკლავდა კორონავირუსს. რა თქმა უნდა, მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები, თუმცა სიტუაცია რომ ჩვენს ქვეყანაში უკეთესია, ეს მედიკოსების დამსახურებაა და არა – გახარიასი ან ივანიშვილის.

– გახარია ახსენეთ და საგრძნობლად იმატა ხმებმა მისი გადადგომის შესახებ. მიდის გახარია?

– ივანიშვილის პერსონა უკვე ძალიან კარგად შევისწავლე. ამ ადამიანს აქვს ერთი მიმართულება, რომ მასზე მეტი ავტორიტეტი არ უნდა ჰქონდეს არავის. ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ მან გახარია ტყუილად დანიშნა 20 ივნისის შემდეგ?! სწორედ იმიტომ დააწინაურა, რომ 20 ივნისის შემდეგ გახარიას რეიტინგი ნულს ქვევით იყო. ივანიშვილი დარწმუნებული იყო, რომ გახარია წელში ვერანაირად გაიმართებოდა და ვერც მომხრეებს გაიჩენდა.

როგორც ჩანს, ვიღაცამ მიუტანა ამბავი, რომ გახარიამ ძალები მოიკრიბა, პოპულარულია და თუ ეს დაიჯერა ივანიშვილმა, დაიბარებს გახარიას და ერთი საათით ადრე შეატყობინებს, რომ გადაყენებულია თანამდებობიდან.

„ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება არჩევნები მოიგოს, მაგრამ ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციაში არათუ მაჟორიტარებზე შეთანხმება, შეიძლება ახალი საარჩევნო ბლოკის შექმნაც კი პრობლემატური იყოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის შიგნით მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ? რამდენად აქვთ გაცნობიერებული, რომ ძალიან რთული არჩევნებია წინ?

– ძალიან რთული პროცესია. ჩემი დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის მიმართ დიდ განმარტებას არ საჭიროებს, მაგრამ რეალობაა, ნაციონალური მოძრაობა წამყვანი ოპოზიციური პარტიაა. ძალიან რთულია, რომ მათ თუნდაც საკუთარი პარტიის აქტივი დაარწმუნონ იმაში, რომ მათ უნდა იმუშაონ არა საუკუთარი კანდიდატის, არამედ, მაგალითად, ბურჯანაძის კანდიდატის გასამარჯვებლად.

კიდევ უფრო რთული ვითარებაა „ძალა ერთობაშია“-ში. არ მესმის, რატომ უნდა გაიყვანოს ნაციონალურმა მოძრაობამ პარტია, რომელსაც 1%-იანი ბარიერის დაძლევაც არ შეუძლია.

– ეს ნაციონალური მოძრაობის არჩევანია, მხოლოდ თვითონ ის არის გამწვევი ძალა.

– ამიტომ, არ გამოვრიცხავ, ამ ბლოკს დაშლის საფრთხე დაემუქროს.

– სწორედ ამის მოწმენი ვართ?

– ვერ გეტყვით, შიგნით რა ხდება, მე ლოგიკიდან გამომდინარე ვსაუბრობ. სინერგიას ეს კონგლომერატი ვერ იძლევა.

ამიტომ, ოპოზიციაში არათუ მაჟორიტარებზე შეთანხმება, შეიძლება ახალი საარჩევნო ბლოკის შექმნაც კი პრობლემატური იყოს. ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე და მთელმა ოპოზიციამ ერთი ბლოკი შექმნას და ისე გავიდეს „ქართული

ოცნების“ წინააღმდეგ ამ არჩევნებზე, მაგრამ რასაც ვუყურებთ, ამის თქმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა.

– გიგი უგულავამ თქვა, ეს პოლიტიკაა და თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვენო!

– კი ძოვენ ხოლმე, თუ კარგი საძოვარია!

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „ქართული ოცნება“ დიდი ძალისხმევის გარეშე მესამე ვადით დარჩეს ხელისუფლებაში?

– „ქართულმა ოცნებამ“ შეიძლება 2020 წლის არჩევნები მოიგოს, მაგრამ 2024 წლამდე ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ეს იქნება და არა მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის“, ზოგადად ქვეყნისთვის.

– რას გულისხმობთ?

– ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას და სხვა უამრავ პრობლემურ საკითხს. ჩემი აზრით, ქვეყნისთვის ყველაზე კარგი იქნება თუ ხელისუფლებაში არც „ქართული ოცნება“ იქნება და არც „ნაციონალური მოძრაობა“ მისი განაყოფებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროცესები ასე განვითარდეს. საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას არც „ქართული ოცნება“ უნდა და არც „ნაციონალური მოძრაობა“. გასაგებია, რატომ არ უნდა „ოცნება“, ნაციონალური მოძრაობა კი იმიტომ არ უნდა, რომ ეშინია. ეს შიში ასე მარტივად არ ქრება სამწუხაროდ. შიშმა ღრმად იცის ფესვების გადგმა და სწორედ ამის მაგალითი იყო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური.

დღეს, ოპოზიციისთვის პრობლემა ხელისუფლების დამარცხება კი არ არის, ხელისუფლებას თავად ხალხი დაამარცხებს, რადგან არ უნდა, პრობლემა შიშია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ხალხში. ამაზე უნდა ემუშავა მთელ ოპოზიციას, ნაციონალურ მოძრაობას მაინც უნდა ემუშავა საკუთარ თავზე, რეალური რებრენდინგი უნდა მომხდარიყო, რაც არ მოხდა. ეს რეალური პრობლემა არის.

– ეს პრობლემა ხომ არ აქვს „ლელოს“?

– მესმის, გასაგებია, რასაც ამბობთ, მაგრამ „ლელომაც“ შეცდომები დაუშვა თავის დროზე. დღესაც ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. რა არის ამის მიზეზი ვერ გეტყვით. გარდა ამისა, „ლელოს“ აქილევსის ქუსლი აუცილებლად ამუშავდება წინასაარჩევნოდ და ეს არ იქნება მარტივი პრობლემა მათთვის.

– რას გულისხმობთ?

– ბანკს. ეს თემა აუცილებლად ამუშავდება შავი პიარის მიმართულებით არჩევნების მოახლოებასთან ერთად. პოლიტიკაში ერთი დიდი უცნაურობა იცით რა არის, ცამდეც მართალი რომ იყო, ხალხმა თუ საწინააღმდეგო ირწმუნა, მერე უკვე ძალიან რთულია მათი გადარწმუნება. ბევრი სამუშაო აქვთ ხალხთან, შეძლებენ კი?! ამას დრო გვიჩვენებს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

დავით ლორთქიფანიძე: „სტრასბურში განხილული საქმეების უმრავლესობა სააკაშვილის დროსაა გაგზავნილი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დავით, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში განიხილებოდა სტრასბურის გადაწყვეტილებების აღსრულების ანგარიში. მთელი სიაა სტრასბურში საქართველოდან გაგზავნილ საჩივრებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებისა. ეს არის სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობების შეფასება. სახელმწიფომ მომჩივნების სასარგებლოდ 2 მლნ დოლარი გადაუხადა და ზარალებულებს. თქვენ რა შეფასება გაქვთ?

– სტრასბურში გაგზავნილ საქმეებზე გადაწყვეტილებების გამოტანას დიდი დრო სჭირდება. სამწუხაროდ, მისი ოპერატიულად განხილვა ვერ ხდება. ამიტომ არის, რომ დღეს სტრასბურში განხილული საქმეების აბსოლუტური უმრავლესობა სააკაშვილის ხელისუფლების დროს გაგზავნილი საჩივრებია.

ევროპული სასამართლო, როგორც წესი, სამართლიან გადაწყვეტილებებს ღებულობს. დღეისათვის სარჩელები დაახლოებით 10-ჯერ არის შემცირებული. იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც სტრასბურგს მიმართეს ნაციონალების აღვირახსნილი მოქმედებების გამო, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები გარკვეული კომპენსაციაა. ისინი დაიჩაგრნენ, მათ ქონება წაართვეს, შეურაცხყვეს, რაც უკვალოდ არ ქრება. სამწუხაროდ, რეალობა ეს არის.

– გარდა სტრასბურის საქმეებისა. კიდევ უამრავი საქმეა გამოუძიებელი. საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რა სამუშაო ჩაატარა პროკურატურაში შექმნილმა „სამართალწარმოების პროცესში დაშვებული ხარვეზების დეპარტამენტმა“. რატომ არ ისმენს პარლამენტი ამ დეპარტამენტის მუშაობის შედეგებს?

– საქართველოში არის ასეულობით საქმე, რომელიც ნაცრეჟიმის დროს ჩადენილ დანაშაულობებს ეხება და შესწავლას, განმეორებით გამოძიებას საჭიროებს.

– თუ არ ვცდები, 52 ათასი საჩივარი იყო შეტანილი საქმეების გადასინჯვასა და განმეორებით გამოძიებაზე.

– ასეულობით საქმეა, რომლებზეც ადამიანებს სამართალი ჯერ არ აქვთ ნაპოვნი, რაც ცუდია და ჩვენი მოსახლეობის განწყობებზე მოქმედებს. აუცილებელია ამ საქმეების გამოძიების ტემპი დაჩქარდეს. ჩემთვის ცნობილია ასეულობით ადამიანი, რომელთაც ჩამორთმეული ქონება – მიწის ნაკვეთები ავტომანქანები, წართმეული ბიზნესები დაუბრუნდათ, მაგრამ ეს არის ზღვაში წვეთი იმ დანაშაულობებისა, რასაც წინა რეჟიმი ჩადიოდა.

პარლამენტი მოისმენს ანგარიშს თუ ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელი მოახდენს საზოგადოების ინფორმირებას, ეს საკითხის მეორე მხარეა.

– საინტერესოა, მაგალითად, რამდენ ადამიანს დაუბრუნდა ქონება, რა ქონებებზეა საუბარი, ან რამდენს ვერ უბრუნებენ და რა პრობლემებია. ამ ინფორმაციის გაცემაში ცუდი რა არის?

– მე პირადად ვიცნობ ათეულობით ადამიანს (წინა პარლამენტიდან მქონდა მათთან შეხება) და ვიცი, რომ მათ დაუბრუნდათ ნაცების მიერ წართმეული ქონებები. ის ვერ დაუბრუნდათ, რაც იმ ადამიანებმა ქონების წართმევის გამო დაკარგეს, ჯანმრთელობა რომ წაართვეს, შეურაცხყოფა რომ მიაყენეს, რაც ნერვების ფასად დაუჯდათ, მაგრამ ქონებები დაიბრუნეს.

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ უნდა იყოს საზოგადოება ინფორმირებული, მით უმეტეს, როცა ბევრი რამ აქვთ გაკეთებული. თუმცა, საქმეების გადასინჯვა დასრულებული არ არის.

– რატომ ვერ სრულდება 26 მაისს, სასტიკი დარბევის დროს დაღუპული (ოლეგ ჟვანიას მაღაზიის თავზე რომ დააწყეს) კვინტრაძისა და ასათიანის საქმის გამოძიება? ოლეგ ჟვანია ყვებოდა, როგორ გამოსცადა ნაცრეჟიმის სუსხი, როგორ აიძულებდნენ, თავის თავზე აეღო ასათიანისა და კვინტრაძის სიკვდილი, უარი რომ უთხრა, დააპატიმრეს და გლდანის ციხეში აწამებდნენ.

– 26 მაისის საქმეზე არაერთი პირი გასამართლდა. მათ შორის, ვანო მერაბიშვილი, მაგრამ არ არის დამდგარი განაჩენი უშუალოდ შესსრულებლების მიმართ სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძის მკვლელობის გამო. სულიკო ასათიანის ოჯახს პრეტენზიები აქვს კონკრეტული პიროვნებების, იგივე პაატა ლეჟავას მიმართ, რომელიც ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრია.

– პაატა ლეჟავა ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრი ახლაც არის?

– დიახ. მაშინ ნაცმოძრაობის დეპუტატი იყო. პრეტენზია აქვთ უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომელის მიმართ, ვისთან ერთადაც ლეჟავა ასათიანის ოჯახს აშანტაჟებდა და ატერორებდა. 26 მაისთან დაკავშირებით სულიკო ასათიანის ვაჟი საუბრობდა ტელევიზიით და თქვა, რომ უშიშროების თანამშრომელმა ის წაიყვანა ქუთაისის უშიშროებაში და იქ მასზე სერიოზული ზეწოლა მოხდა.

მას გადაცემაში უშიშროების იმ თანამშრომლის გვარი და სახელი არ დაუსახელებია, მაგრამ იცის, ვინც არის. მეც ვიცი.

– ვინ არის?

– ჩემი ინფორმაციით, უშიშროების ის თანამშრომელი დღესაც ძალოვან სტრუქტურაში მუშაობს. ძალიან გული დამწყდა, რომ 26 მაისის ღამის მოვლენები ტელევიზიებმა ისეთი სიმძაფრით ვერ გააშუქეს, როგორც საჭირო იყო.

უშუალოდ მე ძალიან ბევრი ფაქტი მაქვს სულიკო ასათიანის საქმესთან დაკავშირებით. მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც 2011 წლის ივნისში „კვირის პალიტრაში“ დავწერე სრული სიმართლე და სრულად აღვწერე სულიკო ასათიანის ნაწამები გვამის ფიზიკური მდგომარეობა. ბევრი ფაქტის მომსწრე ვარ.

– რატომ არ საუბრობთ ამაზე ტელევიზიებით?

– 26 მაისისთვის ამით არც ერთი ტელევიზია არ დაინტერესდა. საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია წინა რეჟიმის სუსხიანი მოქმედებებისა და სისხლიანი შედეგების შესახებ. საზოგადოებას რაც უფრო მეტი ეცოდინება მათი ნამოქმედარის შესახებ, მით მეტად სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. შესაბამისად, დღეს მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევაზე კი არ ისაუბრებდნენ, პოლიტიკური სივრციდან გამქრალი იქნებოდნენ. რადგან სრული ინფორმაცია არ აქვთ მათი სისხლიანი საქმეების შესახებ, ამიტომ ნაცებს პოლიტიკური ამბიციები აქვთ.

– მგონი, სტრასბურის გადაწყვეტილებაში ციხის ბუნტთან კავშირში ბოკერიაა ნახსენები. ბოკერია პარლამენტის წევრია. ვისი პასუხისმგებლობაა ის, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი დღეს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ემზადებიან?

– ბოკერიასთან დაკავშირებით ამას ამბობს მაშინდელი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე.

– ახლახან სააკაშვილმაც დაადო ხელი.

– ვისი ბრალია, რომ პოლიტიკური ბოკერიები ისევ პოლიტიკურ ავანსცენაზე არიან. არ მომერიდება და ვიტყვი, რომ ყველას გვაქვს პატარ-პატარა წვლილი – საზოგადოებასაც და ხელისუფლებასაც, რომელმაც ამ ნაწილში სამართლიანობა არ აღადგინა, რათა იმ ადამიანებს პასუხი ეგოთ.

– თქვენ ხართ მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი და ხმა გაქვთ მიცემული ნაცრეჟიმის პოლიტპატიმრების თაობაზე დადგენილებისთვის. 190 პოლიტდევნილზე და უკანონო პატიმრების არსებობაზე რომ იყო საუბარი. ამ დადგენილებას რატომ არ მიეცა მსვლელობა, რატომ არ აეკრძალა ნაცმოძრაობას პოლიტიკური საქმიანობა?

– ვფიქრობ, ამ ადამიანების მიმართ საქართველოს სახელით უნდა გამოტანილიყო განაჩენები. ზოგი გამოსული იქნებოდა საპატიმრო ადგილიდან, ზოგი იქნებოდა იქ. სამწუხარო რეალობაა, რომ ეს საქმეები ბოლომდე ვერ მივიდა. მათ ადამიანები მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებების, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო გამოკეტეს საპატიმროებში. ამიტომ პასუხი უნდა ეგოთ.

– ასეთ დანაშაულობებზე პასუხისგება იმის გამოც არის საჭირო, არსებული თუ მომავალი ხელისუფლება არ ცდუნდეს და არ გაიმეოროს მასობრივი და სასტიკი დანაშაულებები, ადამიანების წამებები.

– დიახ, აუცილებელია იმის გამო, რომ არც ერთ ხელისუფლებას არ ეგონოს, რომ თუ რაღაცას გააფუჭებს, შემდგომ იმის გამო, რომ პოლიტიკაში არის ან იყო, პასუხს არ აგებინებენ. ჩვენს ქვეყანაში ეს სტანდარტი უნდა დამკვიდრდეს, კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს, პოლიტიკოსი იქნება, პროფესორი თუ მუშა.

– სამართლებრივი სისტემა დღეს ისეთ მდგომარეობაში არის, რომ გამოწვევებს უპასუხოს? მოგეხსენებათ, გამოწვევები ამ მხრივ დღესაც არის. მგონი, ამ ხელისუფლების დროს საქართველოდან სტრასბურში 600 საჩივარია შესული. თუმცა, ითქვა, რომ საჩივრების რაოდენობა 4-ჯერ შემცირდა.

– 4-ჯერ კი არა, ათეულჯერ ნაკლებია. ჩვენთან საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზაა.

– თუმცა, კადრები ძირითადად არ შეცვლილა და ეს ქმნის საშიშროებას.

– რაღაც პერიოდში შეიძლება კადრების დეფიციტი იყო, მაგრამ როცა 8-10 წელი ხარ ხელისუფლებაში, ბევრი ახალი კადრი უნდა გამოზარდო, რომელიც თვისობრივად და გონებრივად კანონიერების აღდგენაზე იქნება ორიენტირებული.

ასლან ბჟანია: „აფხაზეთში არავითარი „მაყურებლები“ არ უნდა იყვნენ“

ოკუპირებულ რესპუბლიკაში ორგანიზებულ დამნაშავეობას ბრძოლა გამოუცხადეს

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია, რომელიც ოპოზიციონერობის დროს ხშირად საუბრობდა აფხაზეთში გაუარესებულ კრიმინოგენულ სიტუაციაზე, ამჟამად ორგანიზებულ დამნაშავეობას, ქურდულ მენტალიტეტს და „მაყურებლების“ კრიმინალურ ინსტიტუტს უპირისპირდება.

ბჟანიამ აფხაზეთის სახალხო კრების დეპუტატებს მოუწოდა, შეისწავლონ პარლამენტში 2019 წელს შეტანილი კანონპროექტების პაკეტი. ის ეხება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას.

– ქუჩაში 21-ე საუკუნეა. არ უნდა იყვნენ არავითარი „მაყურებლები“. ეს კონტრპროდუქტიულია. ქვეყანას და ხალხს ეს არ სჭირდება, – განაცხადა ბჟანიამ.

ფაქტობრივი პრეზიდენტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერაა. მისი თქმით, დამნაშავეობამ აფხაზეთში შემაძრწუნებელ მასშტაბებს მიაღწია, მოსახლეობა კი ხელისუფლებისაგან წესრიგის აღდგენას ითხოვს.

ორგანიზებული დამნაშავეობა, მძიმე დანაშაულისა და ნარკომანიის დიდი მასშტაბები, ქუჩური გარჩევები და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ოკუპირებული რესპუბლიკის ტრაციდიებად შეიძლება ჩაითვალოს.

ცოტა ხნის წინ ქვემო ეშერაში სამართალდამცავებმა აღკვეთეს კრიმინალური გარჩევა, რასაც თან ახლდა მისი მონაწილეების გადაადგილება მანქანებით და სროლა. ხალხი აღიარებს, რომ ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით.

ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“ ბჟანიას ოპოზიციას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, ბჟანია-ანქვაბის ხელისუფლების ნაბიჯებს წესრიგის დასამყარებლად „არუააც“ მიესალმება.

ამ ორგანიზაციის ვეტერანები აღნიშნავენ, რომ არ გამოექომაგებიან დამნაშავეებს, ეჭვმიტანილებსა და ძებნილებს, თუნდაც ისინი მათთან დაახლოებული პირები იყვნენ.

– ჩვენს საზოგადოებაში ძალიან მტკივნეულად აღიქვამენ უსამართლობას, როცა ადამიანებს ერთი და იმავე დანაშაულისათვის სხვადასხვანაირად უდგებიან – ზოგს ციხეში უშვებენ, ზოგი პოლიტიკური თანამოაზრეების დახმარებით დაუსჯელი რჩება. ჩვენ ოპოზიციაში ვართ, თუმცა მზად ვართ მხარი დავუჭიროთ შსს-სა გენპროკურატურის ყველა კანონიერ მოქმედებას წესრიგის დასამყარებლად, – ამბობენ „არუაას“ წევრები.

ასლან ბჟანია წესრიგის დამყარებას ენგურსა და ფსოუზეც აპირებს. ენგურზე გადმოსვლა ხაჯიმბას დროს ძალიან გართულდა. გამყოფი ხაზი ხშირად კარანტინის ან სხვა საბაბით იკეტება. დე ფაქტო პრეზიდენტის თქმით, ენგურზე კონტრაბანდა ყვავის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ენგურგამოღმა, თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოედინება:

– მილიარდობით პროდუქცია მიდის აფხაზეთიდან საქართველოში. თხილის მხოლოდ 10 % გადის რუსეთში. დანარჩენი თხილი და მთელი ფული ილექება კონტრაბანდით დაკავებული პირების ჯიბეში, – ამბობს ბჟანია.

ფსოუზე ოკუპირებული რესპუბლიკა სხვა პრობლემებს ხედავს. წინა წლებშიც ყოფილა ჩივილი იმაზე, რომ რუსეთში გაძნელებულია ციტრუსისა და სხვა საქონლის გატანა.

დე ფაქტო ხელისუფლებას ფსოუდან მაკონტროლებლების მოცილება უნდა

ასლან ბჟანიას განცხადებით, ფსოუზე შესაცვლელია საკონტროლო-გამშვები პუნქტის მუშაობის უსამართლოდ რთული რეჟიმი.

– მდინარე ფსოუს საზღვარზე არის მაკონტროლებელი ორგანოები, რომლებიც მოსაცილებელია.

ბჟანიას დასკვნით, ამისათვის უნდა მოხდეს აფხაზეთში არსებული იარაღის კონტროლზე აყვანა:

– რუსეთის მხარეს თავისი არგუმენტები აქვს, თუ რატომ უნდა იყოს იქ ამდენი მაკონტროლებელი ორგანო. ერთ-ერთი არგუმენტი ასეთია – მათ ეშინიათ, რომ აფხაზეთიდან შეიძლება გავიდეს იარაღის უკონტროლო ნაკადი. ესე იგი, ჩვენ ჩვენი იარაღი კონტროლზე უნდა ავიყვანოთ. საუბარია არა მოსახლეობისთვის იარაღის ჩამორთმევაზე, არამედ, პირობების შექმნაზე მისი შენახვისთვის და პასუხისმგებლობის გამკაცრებაზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მივმართოთ რუსეთის ხელისუფლებას ფსოუზე საზღვრის რეჟიმის გადახედვის თაობაზე.

წინა მოწვევის სახალხო კრებამ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი იარაღის შესახებ. ის გულისხმობს მოსახლეობაში (მათ შორის, რეზერვისტებში) არსებული მთელი იარაღის აღრიცხვას, ასევე იარაღის მოხმარების სპეციალური კურსების გავლას და შესაბამისი საბუთების გაცემას.

მოქმედი პარლამენტი, სავარაუდოდ, ან ამ კანონპროექტის მიღებას მიიყვანს ბოლომდე, ან იარაღის შესახებ სხვა კანონს დაამტკიცებს.

ბაგებში სროლის და გარჩევის საქმეზე მერაბ ხიდაშელი დააკავეს

დაჭრილი 2 ადამიანი ხეჩინაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს

3 ივნისს ბაგებში, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან სროლის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე მუხლებით (იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება) დაიწყო.

ბაგებში მომხდარ სროლაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა.

სროლის შედეგად დაშავებული ორი ადამიანი ხეჩინაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ერთ-ერთი თვითმხილველის განცხადებით, მან თავდაპირველად გაიგო დაპირისპირების ხმა, შემდგომ – გასროლის და დაპირისპირებაში მონაწილე ერთ-ერთი პირი დაინახა, რომელიც დასისხლიანებული ტყის მიმართულებით გარბოდა.

– სროლის ხმა რომ გავიგე, ჩვეულებრივად ბავშვები გავარდნენ აივანზე. ბავშვების შემოყვანით ვიყავი დაინტერესებული. დავინახე ჩოჩქოლი, მანქანები და ბევრი ბიჭი ირეოდა. მერე უცებ ხალხმა ატეხა ყვირილი და გაიქცნენ. ყველა გაიქცა, როდესაც ხალხმა დაიწყო ყვირილი. ვიღაც ეგდო. მე თვითონაც მინდოდა დარეკვა, რომ დავინახე დაგდებული, მერე წამოხტა და ტყეში გაიქცა. დასისხლიანებული იყო, არ ვიცი, დაჭრილი იყო თუ არა. მერე პოლიცია მოვიდა, იპოვეს ის ვიღაცა და ელაპარაკებოდნენ ეზოში, – განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

ბაგებში მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმეზე 4 ივნისს სამართალდამცველებმა მერაბ ხიდაშელი დააკავეს.

მერაბ ხიდაშელი ევროპის მოედანზე მდებარე ბარ „არტ ჰაუსის“ ერთ-ერთი მთავარი მეწილეა. უთანხმოება სწორედ კომპანიის წილებს მოჰყვა. მერაბ ხიდაშელმა და გიორგი წიკლაურმა ამ საკითხზე იჩხუბეს, დაპირისპირებას კი სროლა მოჰყვა.

მერაბ ხიდაშელს საგამოძიებო უწყება ჯგუფურ ძალადობას ედავება. თავად დაკავებული კი თვლის, რომ ის უკანონოდ დააკავეს. რა კონკრეტული მტკიცებულებები გააჩნიათ საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებს, ჯერჯერობით უცნობია.



ბაგებში მომხდარ ალიაქოთში ასევე გიორგი წიკლაური და ირაკლი პაპავა მონაწილეობდნენ.

„კურიერი“ მერაბ ხიდაშელის ადვოკატს ესაუბრა.

უფლებადამცველი დავით კორკოტაშვილი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკანონობის მსხვერპლია და მისი დაკავების არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. ადვოკატის მტკიცებით, დაკავებული შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა, თუმცა არანაირ გარჩევაში მონაწილეობა არ მიუღია.

– დაკავების არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. უკანონობის მსხვერპლია მერაბ ხიდაშელი, თამამად შემიძლია განვაცხადო. თითქოს და ჯგუფური ძალადობა განახორციელა, თუმცა ვის მიმართ კონკრეტულად, ჯერ ფორმულირებული არა აქვს თვითონ გამოძიებას.

შემთხვევის ადგილზე იყო, თუმცა არავითარი მონაწილეობა არ მიუღია საერთოდ, არც გარჩევაში. როგორც კი ატყდა სროლები, მისი განმარტებით, მას ეგონა, რომ მასზე ხდებოდა თავდასხმა, ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, გასროლები და შემთხვევის ადგილები თვითონ დატოვა, გამოიქცა, თავს უშველა. წიკლაურს უნდა შეხვედროდა და შემდგომ ატყდა სროლა. წიკლაური მისი არავითარი მეგობარი არ არის, – განაცხადა მერაბ ხიდაშელის ადვოკატმა.

„არტ-ჰაუსის“ ერთ-ერთი მეწილე პოლიციამ მომხდარ სისხლიან დაპირისპირებასთან დაკავშირებით მოწმის სტატუსით 3 ივნისს დაკითხა.

ოზურგეთში „ოცნების“ აქტივისტი ნარკოტიკებზე დააკავეს

ოზურგეთში მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი და „ქართული ოცნების“ აქტივისტი გიორგი თავართქილაძე ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. ის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელია.

„კურიერის“ ინფორმაციით, არჩევნების დროს გიორგი თავართქილაძე ოზურგეთის ერთ-ერთი დიდი ზონის, ზვანის უბნის უფროსი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოზურგეთში ორი დღის წინ ერთი პირი ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. საქმე 260-ე მუხლის პირველი ნაწილით არის აღძრული.

4 ივნისს ოზურგეთის სასამართლომ, 6.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, გიორგი თავართქილაძე გაათავისუფლა.

ზუგდიდის პოლიციამ მანქანიდან 3.500 დოლარი ამოიღო

ქალი და მამაკაცი გამოძალვის ბრალდებით დააკავეს

ზუგდიდში პოლიციამ გამოძალვის ფაქტზე ქალი და მამაკაცი დააკავა. ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ა.წ. და 1976 წელს დაბადებული რ.პ., გამოძალვის ბრალდებით, სამეგრელოში, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები მოქალაქეს გარკვეული ოდენობის თანხას სისტემატურად სძალავდნენ.

პოლიციამ ავტომანქანიდან, რომლითაც ერთ-ერთი ბრალდებული გადაადგილდებოდა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო 3.500 აშშ დოლარი, ხოლო მეორე ბრალდებულის სახლიდან სამართალდამცველებმა საბრძოლო მასალა და სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილ გამოძალვას გულისხმობს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

სამართალდამცველებმა ჩხრეკა ჩაატარეს ერთ-ერთი დაკავებულის ბიძის სახლშიც, რომელიც დაკეტილია.

როგორც ოჯახის წევრი ამბობს, სპეცრაზმმა კარი შეამტვრია, ინვენტარი დააზიანა და ჩხრეკაზე დასწრების უფლება არავის მისცა.

– გატეხვის ხმა რომ გავიგეთ, მე და ჩემი რძალი მოვედით, დამიმიზნეს ავტომატი, არ შემოხვიდეთ, არაფერი საქმე არა გაქვთო, დავბრუნდით სახლში, ახლოს არავინ არ მიუშვეს, – თქვა ოჯახის ახლობელმა.

დაკავებულები 3 ივნისს სამხარეო პოლიციაში დაკითხეს. დაკავებული პერტაიას დედის განმარტებით, მისი შვილი ნაცემია.

მან შვილი სამხარეო პოლიციის შენობაში მაშინ ნახა, როცა ის დაკითხაზე იმყოფებოდა.

არჩილ თალაკვაძის ბიძაშვილი და ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა დააკავეს

პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით არჩილ თალაკვაძის ბიძაშვილი და ყოფილი დეპუტატის, ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა დააკავეს.

პატრულმა ისინი ბერი სალოსის ქუჩაზე იმ დროს გააჩერა, როცა მოქმედი და ყოფილი მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები ავტომობილით გადაადგილდებოდნენ.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, ნუგზარ თალაკვაძე და გრიგოლ აბრალავა პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილნენ და ადგილიდან მიმალვა სცადეს, თუმცა სამართალდამცველებმა ისინი დევნის ოპერაციის შემდეგ აიყვანეს.

„მთავარის“ წყარო ყვება, რომ ზარდიაშვილის ცოლისძმას თან ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, რომელიც დაკავების მომენტში გადააგდო.

ზარდიაშვილის ცოლისძმისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის – დაახლოებით ერთი წლის წინ, გრიგოლ აბრალავა ნორვეგიაში ქურდობის ბრალდებით დააკავეს და სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

წერეთელზე მანქანა მოპედს დაეჯახა, რომელსაც არასრულწლოვანი მართავდა

3 ივნისს, ღამით ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა წერეთლის გამზირზე.

ჰიუნდაის მარკის ავტომობილი მოპედს შეეჯახა, რომელსაც არასრულწლოვანი მართვადა. მოზარდი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმის ინფორმაციით, მოზარდს მსუბუქი დაზიანებები აქვს.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

სექსუალურ ძალადობაზე კანონი გამკაცრდა

შსს-მ სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შეასრულა

„2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესრულების შესახებ მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, საპარლამენტო მდივანმა ნინო ცაციაშვილმა პარლამენტში წარადგინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ასახული სახალხო დამცველის 2018 წელს გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შეასრულა. სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა სამინისტროს საქმიანობა და აღნიშნა, რომ იგი გამოირჩეოდა შესრულებული დავალებების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით.

რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სამინისტროში 2018-2020 წელს არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ:

სამინისტრომ გაზარდა იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი. კვლავ გრძელდება ექიმების დასაქმება სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტებში და დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 29 დროებითი მოთავსების იზოლატორიდან სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს 23 იზოლატორში. 2020 წელს იგეგმება ექიმების დასაქმება სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის კიდევ ერთ იზოლატორში – ბაღდათი.

იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების სრულყოფილად დოკუმენტირების მიზნით, 2020 წელს ცვლილება შევიდა დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირების სამედიცინო შემოწმების ჩატარების ინსტრუქციაში და დეტალურად გაიწერა სხეულზე არსებული დაზიანების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტოსურათების შენახვის დეტალური წესები. ამასთან, 2019-2020 წლებში არაერთი ტრენინგი ჩატარდა დაზიანებების დოკუმენტირების, მათ შორის, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების საკითხებზე. სამინისტრო, იზოლატორებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადებას 2020 წელსაც აქტიურად გააგრძელებს.

სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის მიზნით, 2020 წელს დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული. 17 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. აღნიშნული კანონითა და თანმდევი ცვლილებებით მოხდა სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ სასჯელის გამკაცრება. კანონი ასევე ითვალისწინებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავისათვის მთელი რიგი უფლებების (მათ შორის სასწავლო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუშაობის უფლების) ჩამორთმევასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში სექსუალური ძალადობისთვის მსჯავრდებულ პირთა რეესტრის შექმნას.

ასევე, თბილისის პოლიციის დეპარტამენტში გამოიყო სპეციალიზებულ გამომძიებელთა ჯგუფი, რომელიც არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებს იძიებს;

ოჯახში ძალადობის და არასრულწლოვან მსხვერპლთა, აგრეთვე დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი;

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, სამინისტრო აგრძელებს პოლიციის თანამშრომელთა გადამზადებას ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და

ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხებზე. სამინისტრომ შეიმუშავა გამომძიებელთათვის სპეციალური ხუთდღიანი კურსი, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ფსიქოლოგიურ საკითხებს. ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე ზემოაღნიშნული სპეციალური კურსი გაიარა 275-მდე გამომძიებელმა (2018-2019 წელი), ხოლო მოკლე კურსები 2019 წელს ჩაუტარდათ პატრულ-ინსპექტორებს, უბნის ინსპექტორებს, მართლწესრიგის ოფიცრებს და 112-ის ოპერატორებს. ასევე, 2019 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის საკითხის მიმართულებით აკადემიაში მომზადდა/გადამზადდა 900-მდე მსმენელი, ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე – 132 მსმენელი.

სამართალდამცველთა გადამზადებასთან ერთად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულების ეფექტიანად გამოძიების მიზნით, გამომძიებლებისთვის შემუშავდა რეკომენდაციები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხები, მსხვერპლისთვის დასასმელი კითხვების სტრუქტურა; მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემთხვევაში მსხვერპლთან განსახორციელებელი ღონისძიებები, შემაკავებელი ორდერის გამოცემისას მოძალადის მსხვერპლისგან განცალკევების ინსტრუქცია, ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახის წევრის მიერ ეკონომიკური ძალადობის იდენტიფიცირების მეთოდოლოგია და სხვა.

აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით ყოველწლიურად იზრდება პოლიციისათვის მიმართვიანობა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, რაც პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მეტყველებს.

ძალადობის მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით, სამინისტრო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მუშაობს სექსუალური ძალადობის საქმეთა გამოძიების პროტოკოლის შემუშავებაზე. აღნიშნული პროტოკოლი, მათ შორის, მოიცავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვის სახელმძღვანელო წესებს. პროტოკოლი დამუშავების პროცესის დასრულებისთანავე გადაეგზავნება პოლიციის ყველა საგამოძიებო დანაყოფს.

სამინისტროს მიერ მომზადდა რეკომენდაცია „დაკავების ოქმის შედგენის მეთოდოლოგიის შესახებ“, რომელიც განკუთვნილია დაკავების უფლებამოსილების მქონე სამართალდამცავებისთვის. აღნიშნულ რეკომენდაციაში ხაზგასმა კეთდება დაკავების დროს დაკავებული პირისთვის უფლებების განმარტების მნიშვნელობაზე. რეკომენდაცია უახლოეს მომავალში გადაიგზავნება სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში და მის პრაქტიკაში შესრულებას აქტიურ მონიტორინგს გაუწევს სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი.

ფაშინიანი: „ცუდი ამბავი გვაქვს, 697 ახალი შემთხვევა დადასტურდა“

სომხეთში ბოლო 24 საათში კორონავირუსის 697 ახალი შემთხვევა დადასტურდა.

ამის შესახებ გუშინ, 4 ივნისს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა ფეისბუქ ლაივის დროს განაცხადა.

– ცუდი ამბავი გვაქვს, სიტუაცია უარესდება, 697 ახალი შემთხვევა დადასტურდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გვყავს ადამიანები, რომლებსაც ჰოსპიტალიზაცია სჭირდებათ, მაგრამ ჩვენ მათი დროულად ჰოსპიტალიზაციის საშუალება არ გვაქვს, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

მისივე თქმით, ქვეყანაში ათასობით ასიმპტომური პაციენტია, რომლებმაც არ იციან, რომ ინფიცირებულები არიან.

– ქვეყანაში დაახლოებით 20.000 ინფიცირებული ადამიანია, რომლებმაც არ იციან, რომ ინფიცირებულები არიან. სწორედ ისინი არიან ინფექციის ძირითადი გამავრცელებლები, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

3 ივნისის მონაცემებით, სომხეთში კორონავირუსის 10.524 შემთხვევაა დადასტურებული, აქედან 3.454 პაციენტი გამოჯანმრთელდა, 170 კი გარდაიცვალა.

ინფიცირებული არიან თავად ნიკოლ ფაშინიანი და მისი ოჯახის წევრები.

ჯორჯ ფლოიდის მკვლელობაში ბრალდებულ დერეკ შოვინს ბრალი დაუმძიმდა

მინესოტას შტატის გუბერნატორის, ემი კლობუშარის განცხადებით, შტატის გენერალურმა პროკურორმა, კიტ ელისონმა ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის ინციდენტში მონაწილე კიდევ 3 პოლიციელს წაუყენა ბრალი, ხოლო თავად დერეკ შოვინს კი ბრალი მეორე ხარისხის მკვლელობით შეუცვალეს.

– მინესოტას გენერალურმა პროკურორმა, კიტ ელისონმა დერეკ შოვინს ბრალი შეუცვალა. მას ახლა ბრალი მეორე ხარისხის მკვლელობაში ედება. ასევე ბრალი წაუყენეს 3 სხვა ოფიცერს, ეს სამართლიანობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, – განაცხადა გუბერნატორმა.

აშშ-ში საპროტესტო აქციები ჯორჯ ფლოიდის მკვლელობას მოჰყვა.

28 მაისს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა მინეაპოლისის პოლიციის შენობა დაიკავეს და ცეცხლი წაუკიდეს. 30 მაისს ფლოიდის საქმეზე დაკავებულ ყოფილ პოლიციელს ბრალი წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობის მუხლით წაუყენეს. საპროტესტო აქციების გამო 25-ზე მეტ ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

2 ივნისს დამოუკიდებელმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ფლოიდის გარდაცვალების მიზეზი ასფიქსია გახდა.

ყირგიზეთი: რადიო თავისუფლების ჟურნალისტებს ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ

ყირგიზეთის უშიშროების სამსახურმა ქრთამის აღებაში დაადანაშაულა რადიო თავისუფლების ჟურნალისტები, რომლებიც რესპუბლიკაში არსებულ კორუფციას იკვლევდნენ.

მდგომარეობა მას შემდეგ გართულდა, რაც ხელისუფლებამ ბიზნესმენ საიმატის თვითმკვლელობის შესახებ გამოაცხადა. საიმატი ჩინეთის მოქალაქეა, მაგრამ უიღურული წარმოშობისაა, უიღურები კი ყირგიზების მონათესავე ტომია.

რესპუბლიკაში დაირხა ხმა, რომ საიმატი მოკლეს. აღნიშნული საქმეც რადიო თავისუფლების ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ მოექცა.

რადიო თავისუფლების ხელმძღვანელობამ ყირგიზეთის უშიშროების მოქმედების გამო პროტესტი გამოთქვა.

ლუკაშენკომ მთავრობა გადააყენა და პრემიერად გოლოვჩენკო დანიშნა

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მთავრობა გადააყენა.

ტელევიზიით გამოსვლისას ლუკაშენკომ თქვა, რომ მიმდინარეობს გეგმიური როტაცია და მეტი არაფერი.

– მალე ახალი მთავრობის შემადგენლობას დავასახელებთ! მასში შევლენ, რასაკვირველია, პროფესიონალები. ვინც წინა მთავრობაში კარგად იმუშავა, დარჩებიან! ასეა თუ ისე, რევოლუციური ცვლილებები არ იქნება, – განაცხადა ლუკაშენკომ.

მოგვიანებით მან პრემიერ-მინისტრად რომან გოლოვჩენკო დანიშნა, რომელიც მანამდე სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტს იკავებდა.

როგორც ლუკაშენკომ ახალი პრემიერ-მინისტრის წარდგენისას განაცხადა, გოლოვჩენკოს სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, დიპლომატიურ სფეროში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი კანის კინოფესტივალზე მოხვდა

ქართველი რეჟისორის დეა კულუმბეგაშვილის სრულმეტრაჟიანი ფილმი „დასაწყისი“ კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში დასახელდა.

ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც დეა კულუმბეგაშვილის ფილმი კანის კინოფესტივალზე ხვდება. 2014 წელს რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარი „უხილავი სივრცეები“ წარმოდგენილი იყო მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში, 2016 წელს კი დეა კულუმბეგაშვილის კიდევ ერთი მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლეთა“ აჩვენეს სექციაში „რეჟისორთა ორკვირეული“.

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი იეჰოვას მოწმეთა თემის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც მძინარე პროვინციულ ქალაქში თავს დაესხმება ექსტრემისტული დაჯგუფება. იანა იეჰოვას მოწმეთა ლიდერის მეუღლეა. მისი ნაცნობი სამყარო ამ კონფლიქტის შუაგულში ნელ-ნელა ინგრევა. იანას შინაგანი უკმაყოფილება იზრდება, მას შემდეგ, რაც იგი საკუთარი სურვილების გაანალიზებას იწყებს.

რაც შეეხება ფილმის შემოქმედებით ჯგუფს, რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილია, პროდიუსერი – რატი ონელი, სცენარის ავტორები კი ორივე ერთად არიან. ფილმში მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, კახა კინწურაშვილი, რატი ონელი. ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმის მუსიკა ნიკოლას ჯაარს ეკუთვნის, მონტაჟი მეთიუ ტაპონიეს, მხატვარი გურამ ნავროზაშვილია, კოსტიუმების მხატვარი კი ქეთი კალანდაძე.

კორონავირუსის პანდემიის გამო, წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალი არ ჩატარდება ტრადიციული ფორმით, არც ერთი სექცია იქნება საკონკურსო. ოფიციალურ სელექციაში მოხვედრილი ფილმები გადანაწილდებიან ტორონტოს, სან-სებასტიანის, ნიუ-იორკის, ვენეციის, ბუსანისა და ლუმიერის კინოფესტივალებზე. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი კინოფესტივალის ფარგლებში შედგება ფილმ „დასაწყისის“ მსოფლიო პრემიერა. „კანი კედლებს მიღმა“ – ასე უწოდებს მთელ ამ პროცესს კანის კინოფესტივალის დირექტორი ტიერი ფრემო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

წყალბურთელთა ნაკრებს თარიღი დაუდგინეს

წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჯერ თბილისის დინამოს კარგი ამბავი გვამცნო, ახლა საქართველოს ნაკრებზეც მოგვაწოდა ინფორმაცია. „ტოკიო 2020“-ის ოლიმპიური თამაშების, წყალბურთის სალიცენზიო ტურნირის მატჩები დეკემბერში გაიმართება, რომელშიც რევაზ ჩომახიძის გაწვრთნილი გუნდიც მიიღებს მონაწილეობას.

საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მარტში როტერდამს უნდა ემასპინძლა, მაგრამ მსოფლიო პანდემიის გამო გადაიდო. დისლოკაციის ადგილი უცვლელი რჩება, თარიღად კი, 13-20 დეკემბერი დადგინდა.

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული გუნდი, ისტორიაში პირველად, ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. ჩვენები ა ჯგუფში თურქეთთან, კანადასთან, ბრაზილიასთან, მონტენეგროსთან და საბერძნეთთან ერთად მოხვდა. ბ ჯგუფი კი, ხორვატიამ, გერმანიამ, რუსეთმა, რუმინეთმა, ნიდერლანდებმა და საფრანგეთმა შეავსო.

ჯგუფური ეტაპისა და ფლეი ოფის შედეგად, ოლიმპიადის საგზურს 3 საუკეთესო ნაკრები მოიპოვებს. ამ შედეგის მიღწევა ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ თუ საქართველოს ნაკრები მიზანს მიაღწევს, გუნდურ სახეობაში პირველი ნაკრები იქნება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ოლიმპიადაზე წარადგენს.

ტოკიო 2020 სამუშაო რეჟიმში გადადის

ტოკიო 2020-ის ხელმძღვანელობამ ჩვეულ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლები ორთვიანი დისტანციური მუშაობის შემდეგ საორგანიზაციო კომიტეტის შტაბ-ბინას უბრუნდებიან. ისინი ერთგვარი როტაციის პრინციპით იმუშავებენ, რომლის მიხედვითაც ოფისში თანამშრომელთა რაოდენობა 50%-ს არ უნდა აჭარბებდეს. ამასთან, თითოეული თანამშრომელი სამსახურში პირბადით უნდა გამოცხადდეს და შეუმოწმდეს სიცხე. აუცილებელ მოთხოვნათა შორის არის ასევე ხელების ხშირი დაბანვა და სოციალური დისტანციის დაცვა.

კორონავირუსის შესაკავებლად, საორგანიზაციო კომიტეტის შტაბ-ბინის შესასვლელი აღჭურვილი იქნება თერმული კამერებით, სპირტის შემცველი სანიტაიზერებით.

ტოკიო 2020-მა თანამშრომლების ოფისებში დაბრუნების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა გააუქმა.

იაპონიაში კორონავირუსით დაინფიცირების 17.000-მდე შემთხვევა დფიქსირდა და მას 900-მდე ადამიანი ემსხვერპლა. ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდა ტოკიო.

კორონავირუსის პანდემიის გამო 32-ე ოლიმპიური თამაშები 2021 წლამდე გადავადდა და 2021 წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

ტრაბზონსპორი უეფამ მოკვეთა

თურქეთის სუპერლიგის ლიდერი და ქვეყნის 6-გზის ჩემპიონი ტრაბზონსპორი ევროტურნირებიდან ერთი წლით მოკვეთილია. უეფას კლუბების ფინანსური კონტროლის პალატამ თურქული კლუბი ფინანსური ფეარ-პლეის წესების დარღვევისთვის დასაჯა.

უეფამ ტრაბზონსპორთან შეთანხმება ჯერ კიდევ 2016 წლის მაისში დადო, რომლის თანახმად, კლუბს რამდენიმე პირობა უნდა შეესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გუნდი ევროთასებიდან ერთი წლით მოიკვეთებოდა. კლუბმა კი, უეფას მოთხოვნები ვერ შეასრულა. შედეგად ორგანიზაციამ ვერდიქტი გამოიტანა – კლუბმა ვერ შეძლო ფინანსურად არაწამგებიანი გამხდარიყო. შესაბამისად, თურქული გუნდი უახლოესი 2 სეზონიდან (2020-21 ან 2021-22 წლებში) ერთ-ერთს ჩემპიონთა ლიგასა თუ ევროპალიგაში გამოტოვებს. ცხადია, თუკი შიდა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით იქ თამაშის უფლებას დაიმსახურებს.

როგორც გითხარით, თურქეთის სუპერლიგაში პაუზის გამოცხადებამდე ჩატარებულ 26 ტურში მოპოვებული 53 ქულით სწორედ ტრაბზონსპორი ლიდერობდა. ჩემპიონატის განახლება 12 ივნისს იგეგმება.

ჯერ მესი, ახლა – რონალდუ



მიუნხენის ბაიერნის შემტევი ნახევარმცველი თომას მიულერი ლეო მესისა და კრისტიანუ რონალდუზე საუბრობს.

თომას მიულერი:

– მითამაშია მესის და რონალდოს წინააღმდეგ. მომიგია და წამიგია ორივესთან. ისინი განსაკუთრებულები არიან, არ გვანან სხვა გამორჩეულ ფეხბურთელებს. ორივე ბრწყინვალეა, რადგან მოედანზე მუდამ მაქსიმუმს დებენ. კარიერის საწყის წლებში, ალბათ მესისთან თამაში მენდომებოდა, რადგან პირველი 6-7 წელი, უფრო თავდამსხმელის ფუნქციას ვასრულებდი. ამჟამად კარგ ფორმაში ვარ და ასისტებსაც დიდი რაოდენობით ვაკეთებ. მოცემულ მომენტში რონალდუსთან ერთ გუნდში ყოფნა უფრო უკეთესი იქნებოდა. თუმცა, დღეს ჩვენ ბაიერნში გვყავს რობერტ ლევანდოვსკი, რომელიც ვფიქრობ, რომ უკეთესი ვარიანტია, ვიდრე რონალდუ.

თომას მიულერი, რომელიც მიუნხენის ბაიერნის აღზრდილია, „რეკორდმაისტერის“ რიგებში 2008 წლიდან ასპარეზობს. მისი კონტრაქტი 2023 წლის 30 ივნისამდეა გათვალისწინებული. მიმდინარე სეზონში მიულერმა ყველა ტურნირზე 40 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გახდა 11 გატანილი გოლის და 21 შედეგიანი პასის ავტორი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მარკუს მეტრეველმა ახალი სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა მარკუს მეტრეველმა „ბრავო რეკორდსში“ ახალი სიმღერა ჩაწერა.

„ბავშვობის ზღაპარი“ – ასე ჰქვია მის ახალ ნამუშევარს, რომელიც ანასტასია ბაკურაძესა და მარიამ ბერძენიშვილთან ერთად შეასრულა.

მუსიკის ავტორი ბორიკო შხიანია, ტექსტის ავტორი – ნანა ცინცაძე, ხმის რეჟისორი კი – ალეკო ბერძენიშვილი.

როგორც მომღერალი აცხადებს, სიმღერის პრემიერა უახლოეს მომავალში გაიმართება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

მამუკა გორგოძე: „რამდენჯერ უნდა გამაცილოს ხალხმა“

ბორჯღალოსნების კვართით 75 მატჩის ჩამტარებელი, ნაკრების საუკეთესო მელელოვე, 4 მსოფლიო თასის მონაწილე, 2011 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი და ნ-გზის საუკეთესო მორაგბე, მრავალი გამოცემის სიმბოლური ნაკრებების წევრი, მამუკა გორგოძე აქტიურ სპორტულ კარიერას დაემშვიდობა.

– რაგბს, საყვარელ საქმეს მთელი 20 წელი მიუძღვენით. ალბათ ძალიან ძნელია კარიერის დასრულება.

– რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ახლა ბოლომდე კიდევ ვერ ვხვდები და როგორც მეუბნებიან, ნებისმიერი სპორტსმენისთვის ძნელია მეორე ცხოვრებაზე გადართვა.

– რა მოგცა რაგბმა?

– ყველაფერი! ხალხის და ქვეყნის სიყვარული, რაც უმთავრესია. კლუბსა თუ ნაკრებში რაგბს პირნათლად ვემსახურე და მაქვს ის სიყვარული, რაც ყველაზე ძნელი მოსაპოვებელია. ყველაზე მთავარი სწორედ ესაა. რაგბმა შემძინა ძალიან ბევრი დადებითი თვისება. შევიძინე უამრავი მეგობარი, როგორც ქართველი, ასევე სხვა ეროვნების, რაც მთელი ცხოვრება გამყვება.

– რა არის ისეთი, რაზეც ყველაზე მეტად გწყდება გული და რისი მიღწევაც ვერ შეძელი კარიერის განმავლობაში?

– ამ საკითხზე ბევრჯერ მიფიქრია და გულის წყვეტა არ მაქვს. რა თქმა უნდა, არის წაგებული თამაშები, რაზეც არაერთხელ დამწყვეტია გული. მინდოდა მომეგო, მაგრამ არაფერზე მაქვს საწუწუნო. მიფიქრია, უკან რომ დამაბრუნა, რა შეიძლებოდა შემეცვალა და პირიქით. პასუხამდე მივსულვარ – არ ვიცი, უკან რომ დავბრუნდე, მოვალ თუ არა ამ შედეგამდე. ვარ ამაყი და თავანეული, რადგან წარმატებებთან ერთად, ნებისმიერი სპორტსმენისთვის სანუკვარი რამ, ხალხის სიყვარული მოვიპოვე. სულ ვამბობ, რომ სპორტსმენისთვის გამართლება უმნიშვნელოვანესია და, როგორც ჩანს, ღმერთს ვუყვარვარ, რადგან ბევრჯერ გამიმართლა და ჩემი კარიერაც, გარკვეულწილად ამ გამართლებების შედეგია.

– რა იყო ყველაზე დიდი გამართლება, რამაც ამ დონის მორაგბედ გაქცია?

– თუნდაც ის, რომ კარგ დროს, კარგ გუნდში მოვხვდი. როდესაც აღმავლობის პერიოდი მქონდა, პატარა ტრავმაც არ მიმიღია. იყო წლები, ტოპ 14-ში, როგორც ფრანგები ამბობენ, ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი მოთამაშე ვიყავი, ანუ ყველაზე მეტს ვთამაშობდი. სწორედ ესაა გამართლება. იყო შემოთავაზებები სხვა გუნდებიდან, მაგრამ მონპელიეში დავრჩი და იქ ხალხის დიდი სიყვარული მოვიპოვე. კარიერული წინსვლისთვის მონპელიეში გატარებული წლები უმნიშვნელოვანესი იყო. საჭირო დროს გადავედი ტულონშიც. ბოლოს ისეთი ასაკი მქონდა, რომ ტრავმები გარდაუვალი იყო. ვფიქრობ, პროფესიონალი სპორტსმენისთვის, განსაკუთრებით იმ სტილისთვის, რასაც მე ვთამაშობდი, მინიმალური ტრავმები მივიღე. სულ 3 ოპერაცია მაქვს გაკეთებული.

– ყველა თანხმდება, რომ მამუკა გორგოძე ქართული და მსოფლიო რაგბისთვის იყო მოვლენა. რა იყო ამ მოვლენის საფუძველი – ნიჭი, შრომა, მიზანსწრაფულობა თუ გამართლება.

– ყველაფერი ერთად. ხალხის სიყვარულის თავი და თავი ალბათ ისაა, რომ ჩემი თამაშის სტილი მოსწონდათ, თორემ სხვაც ბევრია ჩემი



დონის მოთამაშე. მე 20 წელი ამ სტილს ვთამაშობდი და ეს არასდროს გამიკეთებია პუბლიკის მოსახიბლად.

– მამუკა გორგოძე ასოცირდება უზარმაზარ ძალასა და ემოციასთან. შენს თამაშში რა უფრო მეტი დოზით იყო, ძალა თუ ემოცია?

– ძალას თანდართული ემოცია. თუ შენი საქმე ემოციურად არ გააკეთე და ბოლომდე არ დაიხარჯე, არაფერი გამოგივა. რამდენსაც გინდათ, იმდენ შეხვედრას გავიხსენებ, რომ კარგი თამაში არ მქონია, მაგრამ არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ მოედანზე გავსულიყავი და თავი დამეზოგოს. არავის ვუკითხავ მორალს და მხოლოდ ჩემს თავზე ვსაუბრობ – საშუალოდ არ გამოდის, როდესაც მოედანზე გადიხარ, ბოლომდე უნდა დაიხარჯო და თამაში გამოგივა თუ არა, ხალხი მაინც შეგაფასებს. ისინი აუცილებლად ხედავენ, ვინ ინდომებს და თამაში არ გამოსდის და ვის მონდომება აკლია. როდესაც ადამიანი ხედავს, რომ ინდომებ და უბრალოდ იმ დღეს არ გამოგდის, მაინც კმაყოფილია, რადგან ადამიანები ვართ და ყოველთვის ყველაფერი არ გამოგივა.

– მოდით გავიხსენოთ თქვენი კარიერის გამორჩეული თამაშები, როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო დონეზე.

– საკლუბო დონეზე უპირველესად მახსენდება ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ 110.000 გულშემატკივრის წინაშე ჩატარებული ფინალი (2016 წლის 24 ივნისი, 21:29 რასინგთან). პირადად კარგად ვითამაშე, ლელოც გავიტანე. აი ამ თამაშზე შეიძლება ითქვას, რომ გული დამწყდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მეტოქე თავიდანვე 14 კაცით დარჩა, 30-ე წუთისთვის 8 ქულას ვიგებდით, ჩემპიონობამდე თითქოს ბევრი არაფერი გვაკლდა და პირველად უნდა მომეგო საფრანგეთის ტოპ 14, მაგრამ სასწაული მოხდა და წავაგეთ. მანამდე იყო 2011 წლის ფინალი მონპელიესთან ერთად, გამოუცდელი ბავშვები, გუნდი, რომელშიც არანაირი ვარსკვლავი არ თამაშობდა და მანამდე სულ მე-12-13 ადგილებზე გადიოდა... ფინალში გავედით და თამაშის წინ მოგვდიოდა მესიჯები – თქვენ მაგარი ბიჭები ხართ, სასწაული მოახდინეთ, მაგრამ ტულუზთან შანსი არ გაქვთ და ალბათ 30-40 ქულას წააგებთ, მაგრამ ამაზე არ ინერვიულოთ, არა უშავს. 71-ე წუთამდე ამ თამაშს ვიგებდით და დასკვნითი 9 წუთი ვერ გავძელით, აი ეს 2 თამაში მახსენდება ყველაზე მეტად, რომლებზეც გული დამწყდა. რაც შეეხება დადებით ემოციებს, რა თქმა უნდა, პირველ ადგილზეა ტონგასთან 2015 წლის მსოფლიო თასზე გამარჯვება. არასდროს ვყოფილვარ ცალკეული მორაგბე, ყოველთვის გუნდური მოთამაშე ვიყავი და ჩემთვის ყველაზე დიდი ემოცია სწორედ ამ თამაშს უკავშირდება. და მეორე, კვლავ იგივე მსოფლიო თასზე, ჩემს საყვარელ, შესანიშნავ სტადიონ „მილენიუმზე“ ახალ ზელანდიასთან 30 ქულით წაგებული შეხვედრა, სადაც პიროვნულად გამომარჩიეს და ასეთი დონის ვარსკვლავების ფონზე, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს.

– როგორ გაიხსენებ ნაკრების კვართით ჩატარებულ პირველ შეხვედრას, 2003 წელს ესპანეთის ნაკრებთან და რას ნიშნავდა შენთვის საქართველოს ნაკრების სახელით თამაში?

– პირველი სანაკრებო თამაში თბილისში, ესპანეთის ნაკრებთან გვქონდა და კინაღამ დებიუტი ჩამეშალა. თოვლი იყო, მაშინ ახალგაზრდული ნაკრების ბიჭებმა მაგრად იმუშავეს, თოვლი გაწმინდეს და მეც 10 წუთი შეცვლაზე ვითამაშე. როდესაც ნაკრების სახელით თამაშობ, იქ უკვე შენ თავს აღარ ეკუთვნი. ისეთი ემოციები მოდის, ცოტა თავი თუ არ მოთოკე, შეიძლება ცუდადაც დაამთავრო. არა მარტო ჩემთვის, ან ქართველებისთვის, ყველა მორაგბისთვის განსაკუთრებული მომენტია საკუთარი ქვეყნის ნაკრების სახელით თამაში. მინდა, რომ ეს ემოციები ბოლომდე დარჩეს და ნებისმიერი მორაგბისთვის ეროვნული ნაკრების კვართით თამაში ყოველთვის პირველ ადგილზე იყოს.

– მონპელიესა და ტულონში არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავის მხარდამხარ გითამაშია.

– ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ახლო ურთიერთობა ფაქტობრივად არავისთან მქონია. ყველა პატივისცემით მექცეოდა, იმიტომ, რომ მეც პატივისცემით ვექცეოდი და არც ზედმეტ ურთიერთობაში შევდიოდი. ასეთი ვარსკვლავების, ადამიანების სიძლიერე და სიდიდე იმაში გამოიხატება, რომ არასდროს უჭირავთ თავი მაღლა. ტულონში რომ გადმოვედი ვფიქრობდი, რომ განსხვავებულ გარემოში მოვხდებოდი, მაგრამ მათ ყველასთან, პატარა ბიჭებთან უშუალო ურთიერთობა ქონდათ, ხუმრობდნენ, ერთობოდნენ, მეგობრობდნენ, არავის აგრძნობინებდნენ, რომ ვინმეზე მეტი, ან უკეთესები იყვნენ. სწორედ ამიტომ იყვნენ და არიან ვარსკვლავები!

– რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუსას განაცხადა, რომ მამუკა გორგოძის გაცილების თამაში იქნება ის, რომელსაც თავად აირჩევსო. როგორია თქვენი არჩევანი?

– როგორ ავირჩიო, როდესაც ჯერ არ ვიცით, რა და როგორ იქნება. მე კარიერა დავასრულე. გარდა ამისა, რამდენჯერ უნდა გამაცილოს ხალხმა? ხომ იტყვიან, რით ვერ მოვიშორეთ ეს კაციო. არც ხიბლში ვარ ჩავარდნილი და მაინცდამაინც ტაში არ არის საჭირო. თუ ვიქნები ფორმაში და იქნება ამის შესაძლებლობა, ვნახოთ, როგორ გამოვა. ახლა ისეთ ფორმაში ვარ, ნებისმიერ დონეზე ვითამაშებდი. რასაც გვაძლევდნენ, იმ პროგრამაზე მეტს ვვარჯიშობდი, მაგრამ როდის გაგრძელდება რაგბი, არავინ იცის...

– რჩევებითა და დარიგებებით არაერთი ქართველი მორაგბე დაგიყენებია სწორ გზაზე და რას ურჩევ იმ ახალგაზრდა, დამწყებ მორაგბეებს, რომელთაც დიდი გზა აქვთ გასავლელი?

– რაც მათზეა დამოკიდებული, მაქსიმუმი გააკეთონ! იქნება ბევრი იმედგაცრუება, კარგი მომენტები. არც ამ კარგმა მომენტებმა უნდა შეგცვალოს, არც იმედგაცრუებამ და არც ტრავმამ უნდა დაგაბრკოლოს. არ უნდა შეეშვა, უნდა გადადო თავი და წარმატება აუცილებლად მოვა!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

3 ივნისი

ფეხბურთი

გეიმანია. ბუნდესლიგა

ვერდერი-აინტრახტი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	21	4	4	86-28	67
2.დორტმუნდი	29	18	6	5	80-35	60
3.ლაიფციგი	29	16	10	3	74-31	58
4.ლევერკუზენი	29	17	5	7	54-34	56
5.გლადბახი	29	17	5	7	57-35	56
6.ვოლფსბურგი	29	11	9	9	41-36	42
7.ჰოფენჰაიმი	29	12	6	11	40-48	42
8.ფრაიბურგი	29	10	8	11	38-41	38
9.ჰერტა	29	10	8	11	43-50	38
10.შალკე	29	9	10	10	34-46	37
11.აინტრახტი	29	10	5	14	49-53	35
12.კიოლნი	29	10	4	15	46-56	34
13.აუგსბურგი	29	8	7	14	40-56	31
14.უნიონი	29	9	4	16	34-52	31
15.მაინცი	29	8	4	17	37-62	28
16.ფორტუნა	29	6	9	14	31-58	27
17.ვერდერი	29	6	7	16	30-62	25
18.პადერბორნი	29	4	7	18	32-61	19

გეიმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანოვერი-დინამო 3:0

პოლტუგალია. პირველი ლიგა

პორტიმორენშე-ჟილ ვისენტე 1:0

ფამალიკაო-პორტუ 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ჰარტბერგი 1:2

შტურმი-ვოლფსბერგერი 1:2

ზალცბურგი-რაპიდი 2:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-პლზენი 0:2

ჩესკე-სიგმა 2:0

ოპავა-ბოჰემიანსი 1905 ..... 0:1

სლოვაცკო-კარვინა 2:0

სპარტა-ტეპლიცე 3:0

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სპორტის სათამაშო სახეობა; 2. თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ევროპაში; 3. მდინარე ნიუ იორკში; 4. აფრიკული ანტილოპა; 5. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 6. ბრიტანეთის ნაწილი; 9. დამწერლობის უძველესი სახეობა, საგნებისა და მოვლენების გადმოცემა ნახატების საშუალებით; 10. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 14. ბრიტანეთის კინოაკადემიის პრიზი; 16. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 18. თირკმლის ანთება; 20. მასობრივი თავყრილობა მწვავე პოლიტიკურ-საყოფაცხოვრებო საკითხებზე; 23. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 24. შურისძიების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 25. საქართველოს რაგბისტთა გუნდის ყოფილი მწვრთნელი; 26. მარცვლეულის, თავთავიანი კულტურების ნათესი.

თარაზულად: 7. ავსტრალიელ აბორიგენთა სატყორცნი იარაღი; 8. ქართველი ბალეტმაისტერი, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატი; 12. გადახურული სავაჭრო მოედანი ძველ თბილისში; 13. მკვეხარა, ტრაბახა ადამიანი; 15. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 17. მუსიკის, ხმის ჩანაწერი ფირზე, ფირფიტაზე, დისკზე; 19. კუთხე საქართველოში; 21. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი; 20. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 27. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში. 28. ტბების შემსწავლელი მეცნიერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. როტვეილერი; 2. მოდული; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. ლიონი; 7. ჰამსუნი; 9. გუჯარი; 13. ტენგე; 17. ნუგა; 18. არა.

თარაზულად: 1. რადიუმი; 3. ტუბერი; 8. კადიმა; 10. გურიელი; 11. მენჯი; 12. ხარფუხი; 14. ფლირტი; 15. ყვარელი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. არმაზი

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ალტაი; 2. ოხორი; 3. ინდოეთი; 4. იხვი; 5. სონი; 6. გრანიტი; 9. ანანიაშვილი; 10. წინანდალი; 11. მანდოლინა; 14. ჭუპრი; 16. გეიშა; 18. კრახუნა; 20. მოლუსკი; 23. პესო; 24. კანტი; 25. სქემა; 26. გეტა.

თარაზულად: 7. ანჩისხატი; 8. იონოსფერო; 12. გენია; 13. სამოა; 15. ნანდუ; 17. პერგამონი; 19. ხავსი; 21. ტაბლა; 22. გნოლი; 27. ანდერსენი; 28. ტექტონიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 ივნისი

აშშ დოლარი — 3.0416	ევრო — 3.4087
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8294	100 რუსული რუბლი — 4.4290

ამინდის პროგნოზი 5 ივნისისათვის

პაულო დიბალამ ვარჯიში განაახლა

იუვენტუსის არგენტინელმა შემტევმა პაულო დიბალამ კორონავირუსი საბოლოოდ დაამარცხა და უკვე ვარჯიშიც დაიწყო.

დიბალას ვირუსი მარტში დაუდგინდა და ის საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მკურნალობდა, თუმცა საბოლოოდ მან მოახერხა და ბოლომდე განიკურნა.

ვარჯიშზე დიბალა ძალიან კარგ ფორმაში იყო და მას აშკარად მოენატრა ფეხბურთის თამაში, რადგან ის გუნდში ყველაზე მეტად აქტიურობდა.

იტალიაში სეზონი საკმაოდ მალე განახლდება და გუნდები უკვე აქტიურად ემზადებიან.

ზიდანს მბაპეს ყიდვა ისევ სურს

ზინედინ ზიდანს კვლავინდებურად სურს, რომ კილიან მბაპე თავის გუნდში იხილოს, ამიტომ ისევ შეეცდება პსჟ-ს ფორვარდის ყიდვას.

მბაპეს რეალში გადასვლაზე ჭორები დიდი ხანია ვრცელდება, მაგრამ ჯერჯერობით კილიანი კვლავ პარიზულ გუნდშია და წასვლას არ აპირებს.

გარდა ამისა, პსჟ მბაპეს მალე ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის თანახმადაც, მბაპეს გაცილებით მაღალი ანაზღაურება ექნება, ვიდრე ახლა აქვს და ის ამ მხრივ თითქმის ნეიმარს გაუთანაბრდება.

მესის მცირე ტრავმა აწუხებს

ბარსელონას კაპიტანმა ლიონელ მესიმ შესაძლოა მალიორკასთან შეხვედრა გამოტოვოს, რომელიც 13 ივნისს გაიმართება. მესის ბარძაყის მცირე ტრავმა აწუხებს, რომელიც მან ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა სერიოზული არ არის, მესიმ შესაძლოა მაინც დაისვენოს მალიორკას წინააღმდეგ, რომ სირთულეები არ იყოს მომავალში. მესის ბარძაყის ტრავმა ადრეც აწუხებდა და სეზონის დასაწყისში მან ამ მიზეზით რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა.

მანჩესტერ იუნაიტედი კულიბალიში 80 მილიონს იხდის

მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, ნაპოლის ცენტრალურ მცველ სალიდუ კულიბალიში 80 მილიონი გადაიხადოს, თუმცა ეს



თანხა ნაპოლის არ აკმაყოფილებს და იტალიელები 110 მილიონს ითხოვენ.

კულიბალი იტალიაში რამდენიმე წელიწადია, საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლება და მასზე დიდი მოთხოვნაა, თუმცა ნაპოლი ჯერჯერობით ახერხებს კულიბალის შენარჩუნებას.

თვითონ კულიბალიმ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მას გუნდის დატოვება არ სურს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 ივნისისათვის

ვერძი – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. ** კურო** – დღე წინასწარ დაგეგმეთ. ყოველგვარი აგრესია გამორიცხეთ. სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე უარესდება. ნებისმიერი საბანკო ოპერაციისაგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანთან კონტაქტი იღბლიანი იქნება. მთელი ყურადღება საქმეს დაუთმეთ. **ქალწული** – მაცდურ შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში წვრილმანი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. თავი შეიკავეთ ინიციატივის გამოვლენისაგან. **მერწყული** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– როგორი რთულია სიყვარულის პოვნა!

– შენ ჯერ სამსახური არ გიძებნია...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობიდან მაშინებდნენ, თუ პასპორტს დაკარგავ, მასზე კრედიტებს გააფორმებენ, დაგაქორწინებენ და მონად გაქცევენო.

– მერე?

– ყველაფერი მართლაც ასე მოხდა... მხოლოდ პასპორტი არ დამიკარგავს.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მომავალში თუ ჩვენი მოქალაქე საპენსიო ასაკამდე მიაღწევს, იძულებული გახდება, ამისთვის ჯარიმა გადაიხადოს...

•••

კარზე ზარია. ქალი კარს აღებს და მის წინ მდგომი მამაკაცი ეუბნება:

– გამარჯობა, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ. იცით გვიანია, მაღაზიები დაკეტილია, მე კი მარილი გამითავდა. ხომ ვერ მომცემდით?

– რა თქმა უნდა, მოგცემთ, შემოდით. მარილს – ვერა, რადგან თავადაც გამითავდა...

•••

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– აბა, ხველება გაქვთ?

– არა, ექიმო.

– სურდო?

– არა!

– ტემპერატურა?

– არა!

– ქოშინი ან თავის ტკივილი?

– არა, ექიმო!

– და საერთოდ თავს როგორ გრძნობთ?

– შესანიშნავად, ექიმო!

– ასე, ჩავწეროთ: უსიმპტომო კორონავირუსი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლელა ვეფხვაძე: „ნუთუ არ შეიძლება, რომ ერთი ბინა მეღირსოს“

9 აპრილის უსინათლო მომღერალ ლელა ვეფხვაძეს უახლოეს დღეებში ნაქირავები ბინის დაცლა მოუწევს:

– ისევ! ისევ აბარგება! დამირეკა სახლის პატრონმა და მითხრა, რომ ბინის გაყიდვა უნდათ სასწრაფოდ და უნდა დავცალოთ ბინა.

აღარ ვიცი, რა ვქნა, ჯერ ბინა იპოვო და თან ისეთ ადგილას, რომ ადვილი იყოს 2 უსინათლო ადამიანისთვის სასიარულოდ, რომ იპოვო ადამიანი, ვინც გააფორმებს ხელშეკრულებას და წამოვა ამ ნაწილობრივ დაფინანსებაზე.

დავიღალე, ხალხო, დავიღალე! ნუთუ არ შეიძლება, რომ 1 ბინა, 1 ბინა მეღირსოს, რომ დავეგდო და არ მეშინოდეს ქუჩაში გაგდების! წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა ვქნათ ახლა. იმ დღეს ბაბუ ამბობდა, დედა, მინდა ეს სახლი ჩვენი იყოსო, მაგრამ პასუხი არ მქონდა. ახლა?! ახლა რა უნდა ვქნა, რა?!

მამულიჩა: „შოუბიზნესმაც ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პროფკავშირები“

ამ ინიციატივას პროდიუსერი კახი მამულაშვილი, იგივე მამულიჩა ინტერნეტში აჟღერებს და თანამოაზრეებს გაერთიანებისკენ მოუწოდებს:

– მგონი დადგა დრო, შოუბიზნესმაც ჩამოვაყალიბოთ ჩვენი პროფკავშირები, რომ ყველა დროს, ყველა მთავრობა, გვიწევდეს ანგარიშს, სულ ბოლო ადგილას რომ ვართ ყურადღების ამბავში.

იცოდნენ, რომ ძალიან ბევრნი ვართ პროდუსერები, მუსიკოსები, მსახიობები, მომღერლები. ამდენი წელი მოლოდინის რეჟიმი, ცოტა ყელში ამოვიდა.

გაგვითვალისწინონ, ამ რეგულაციებს რო აწესებენ და არც გეკითხებიან, მესმის ყველაფერი, რაც ტრიალებს პანდემიის ირგვლივ, რა არის პირველ რიგში მნიშვნელოვანი და რაც არა.

„მთავარი ბიჭები“ „მთავარ არხზე“ დაიწყება

„მთავარი ბიჭები“ – ასე ჰქვია ახალ გადაცემას, რომელსაც „მთავარი არხი“ მაყურებელს უახლოეს მომავალში შესთავაზებს.

გადაცემის წამყვანები ნიკა გრიგოლია, ილო ბეროშვილი და ვანიკო თარხნიშვილი იქნებიან. „მთავარი ბიჭების“ პირველი სარეკლამო რგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მაყურებლის დიდი ინტერესიც გამოიწვია.

ჯერჯერობით უცნობია თემები, რაზეც მთავარი ბიჭები ისაუბრებენ, თუმცა ირწმუნებიან, რომ მაყურებელი არ მოიწყენს.

კახი კავსაძეს 85 წლის იუბილეს ონლაინ მიულოცავენ



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობს კახი კავსაძეს 85 წლის იუბილეს კორონავირუსის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, ონლაინ მიულოცავენ.

5 ივნისს მსახიობი 85 წლის გახდა. მოზარდ მაყურებელთა თეატრი კახი კავსაძეს იუბილეს ონლაინ მიულოცავს. იუბილარი მსახიობი მონაწილეობს თეატრის რეპერტუარში არსებულ სპექტაკლში „პატარა უფლისწული“, რომელიც მისმა შვილმა ირაკლი კავსაძემ დადგა და დედის, ბელა მირიანაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოტო-მუზეუმი გაიხსნება

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ფოტო-მუზეუმი გაიხსნება. ამ სიახლის განხორციელებისთვის პირველი ნაბიჯები უკვე წარმატებით გადაიდგა.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– გილოცავთ და მოგვილოცეთ! დასრულდა ორწლიანი მოლაპარაკება და თანმდევი პროცესიც: საქართველოში უდიდესი კერძო ფოტოკოლექცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდებს ბინას.

XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის მეორე ნახევრის პროლოგის ჩათვლით ათასობით ძალიან ცნობილი თუ სრულიად უცნობი ფოტოსურათის ორიგინალი მომავალ წელს ჩვენს ფოტო-მუზეუმში წარმოგიდგებათ თემატურ გამოფენებად.

საქართველოს ვიზუალური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის გადარჩენა – ამ ამბავს ასეც შეიძლება დავარქვათ. აქვე გთავაზობთ რამდენიმე სურათს გასული საუკუნის დასაწყისისას, მცირედს მცირედიდან, დიდი და საოცარი მოგზაურობა კი წინ გელით უკვე დაზუსტებულ პირთა საძიებლით, ქრონოლოგიითა თუ კონტექსტებით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ბერნარდ შოუს პიესა; 2. აქლემის ნაშიერი; 3. მჭედლის სამუშაო იარაღი. 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 5. ფრანგული ავტომობილი; 6. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 7. ინდოეთის ოკეანის აუზის მდინარე აფრიკის სამხრეთში; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 13. გიორგი ერისთავის პიესა; 17. ხორბლის ქართული ჯიში; 18. კორეული მსუბუქი ავტომობილი.

თარაზულად: 1. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 3. ძველი ფრანგული ტომი; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 10. ბრიტანული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი სამხედრო თვითმფრინავი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 14. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 15. კინოთეატრი თბილისში; 16. წარსულის აღმნიშვნელი ზმნის დრო გრამატიკაში; 19. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იტალიური ფირმა; 20. ქერის პური; 21. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა